

ლვისა და კაცობრიობის

სამსახურში

შეინარჩუნოთ მუსლიმთა და დაზღვიურთა მემკვიდრეობა



IN SERVICE *of* GOD
AND HUMANITY

The Legacy of Shaykh Muhammad al-Ghazali

Benaouda Bensaid

იასი-ს წიგნების სერია

ლიტერატურული სამსახური

შეიხ მუჰამმად ალ-დაზალის
მემკვიდრეობა

ბენაუდა ბენსაიდი
შემოკლებულია ვანდა კრაუსის მიერ



International Institute
of Islamic Thought

გამომცემლობა „კნივერსალი“
თბილისი 2022

ღვთისა და კაცობრიობის სამსახურში
შეინ მუჟამათად აღ-ღაზალის მემკვიდრეობა (Georgian)
პერვაუდა პერსაიდი
იასი-ს წიგნების ადაპტირებული სერია

© ისლამური აზროვნების საერთაშორისო ინსტიტუტი (იასი),
ცოდნის ინტეგრაციის ცენტრი.

1444ჰ/2022

Paperback ISBN: 978-9941-33-280-7

In Service of God and Humanity:

The Legacy of Shaykh Muhammad al-Ghazali (Georgian)

Benaouda Bensaid

IIIT Books-In-Brief Series

© The International Institute of Islamic Thought, (IIIT)

1438AH/2016CE

Paperback ISBN: 978-1-56564-692-6

IIIT

P.O. Box 669,

Herndon, VA, 20172, USA

www.iiit.org

ინგლისურიდან თარგმნა: „უნივერსალური ბიზნეს სერვისები“
სარედაქციო კოლეგია: ტარიელ ნაკაძე (თეოლოგიური ტერმინოლოგიის
რედაქტორი), ია ძირკვაძე (ტექსტის რედაქტორი)

ცოდნის ინტეგრაციის ინსტიტუტი

საქართველო, თბილისი, ც-დადიანის №7, ბიზნეს და სავაჭრო ცენტრი –
„ქარვასლა“, A-508.

ikiacademy.org

პუბლიკურია მომზადებულია გ. წერეთლის ალმოსავლეთმცოდნეობის ინ-
სტიტუტთან თანამშრომლობით.

ამ წიგნზე სააგტორო უფლებები დაცულია. სავალდებულო გამონაკლისე-
ბისა და, შესაბამისი, კოლექტიური ლიცენზირების შესახებ არსებული შე-
თანხმების დებულებებიდან გამომდინარე, წიგნის არცერთი ნაწილის გამ-
რავლება არ შეიძლება გამომცემლების წერილობითი ნებართვის გარეშე.
წინამდებარე ნაშრომში გამოხატული ხედვები და აზრები ეკუთვნის ავ-
ტორს და შეიძლება არ ემთხვეოდეს გამომცემლის მოსაზრებებს.

გამომცემლობა „კონსალტი“, 2022

თბილისი, 0186, ქ. აღლიბარისას №4, ჟ: 5(99) 17 22 30, 5(99) 33 52 02

E-mail: universal505@ymail.com; gamomcemlobauniversali@gmail.com

იასი-ს წიგნების სერია

იასი-ს წიგნების ადაპტირებული სერია წარმოადგენს ინსტიტუტის მიერ მომზადებული მნიშვნელოვანი და ძირითადი პუბლიკაციების ამსახველ ღირებულ კოლექციას, რომელიც ორიგინალის, სრული ტექსტის, მკითხველი საზოგადოებისთვის მარტივად აღქმის მიზნით შემოკლებული ფორმითაა დაწერილი. აღნიშნული ნაშრომი, დროის დაზოგვის თვალსაზრისით, წარმოდგენილია გამარტივებული სახით – დაწერილია მოკლედ და მარტივად, ფართო მასებისთვის გასაგები ენით. თანმდევი რეზიუმეები გვთავაზობს დიდი პუბლიკაციების ყურადღებით დაწერილ დეტალურ მიმოხილვას, რაც იმის იმედს გვიტოვებს, რომ ჩვენი ნაშრომი მკითხველს ორიგინალის გაცნობის ინტერესს აღუძრავს.

ლვთისა და კაცობრიობის სამსახურში – შეიხ მუჰამად ალ-დაზალის მემკვიდრეობა წარმოადგენს ალ-დაზალის „დავას“ მოდელის გამოკვლევას. ნაშრომში შესწავლილია როგორც შეიხ მუჰამად ალ-დაზალის ცხოვრება, განათლება, კარიერა, მისი ინტელექტუალური და პროფესიული წვლილი „დავასა“ და საზოგადოებასთან მიმართებით, ისე მისი პიროვნული სახასიათო თვისებები. აღნიშნული ნაშრომი, აგრეთვე, წარმოაჩენს თუ როგორ შესძლო ალ-დაზალიმ, ისლამის ფილოსოფიის, დინამიკისა და ზეგავლენების სიღრმისეული გაგების საშუ-

ალებით, ასევე გამოეყენებინა თანამედროვე მიდგომა რელიგიის, საზოგადოებისა და თანამედროვე „და'ვას“ ანალიზისას.

ალ-ღაზალი „და'ვას“ უზარმაზარი მნიშვნელობის საკითხად მიიჩნევდა, რომელსაც მრავალმხრივი და მრავალპროფილური მიდგომა ესაჭიროება, რადგან იგი ამ თემას, პირველ რიგში, ადამიანის მიერ ღმერთის რწმენის აუცილებლობასთან აკავშირებდა და, მეორე რიგში, მუსლიმური სულიერი აზროვნების ზოგადი დაკანინების „საზომ ბარომეტრადაც“ მოიაზრებდა.

ამგვარად, ნაშრომი წარმოადგენს ალ-ღაზალის მიერ „და'ვას“ კონცეპტუალურ მონახაზ-კონსტრუქციას, რომელიც მოიცავს როგორც „და'ვას“ კონცეპტებსა და მახასიათებლებს, ისე შუამავლის „და'ვას“, ანუ ქადაგებას, რომელიც უკავშირდება ადამიანის შინაგან ბუნებას („ფიტრას“) და „და'ვას“ უნივერსალურობას, როგორც ეს აღწერილია ყურანში. ნაშრომში ასევე განხილულია საზოგადოებისა და კულტურის ზეგავლენა „და'ვაზე“; თუ როგორ ესმოდა ალ-ღაზალის „და'ვა“ ღვთიური გამოცხადების შუქზე; სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკური ფაქტორების შედეგები და გავლენა მის განვითარებაზე.

შესწავლილია ალ-ღაზალის „დუ'ნთაან“ დაკავშირებული მწვავე კრიტიკა (რომელიც ისლამის გაგების მოწოდებას წარმოადგენს) და საკუთრივ „და'ვას“ საქმიანობა. ამის განსახორციელებლად ავტორი განიხილავს ალ-ღაზალის მეთოდოლოგიას და სხვადასხვა შემოთავაზებულ გადაწყვეტილებებს, მის პერსპექტივებზე სამარ-

თლებრივ პასუხებს, „და’ვასთან“ მიმართებით მქადაგებელთა მიდგომას, და, რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, ფიკჲ ალ-დავას („და’ვასთან“ დაკავშირებულ სამართლებრივ მეთოდოლოგიას), რომელიც ასოცირებულია თანამედროვე „და’ვას“ პრიორიტეტებთან მისი ყველაზე ფასეული ინტერესების ალ-ღაზალისეული გაგების მიხედვით („მასლაჭა ად-და’ვა“).

ალ-ღაზალის იდეები მკვლევართათვის დღესაც მიმზიდველია და თანამედროვე „და’ვას“ ნააზრევის მასაზრდოებელი წყაროა.

ბენაუდა ბენსაიდის ორიგინალი შემოკლებული
ვერსია
ღვთისა და კაცობრიობის სამსახურში – შეიხ მუჰამედ ალ -ღაზალი.

ISBN hbk: 978-1-56564-664-3

ISBN pbk: 978-1-56564-663-6

2015

შინაგანი სისტემები

თანამედროვე „და’ვას“ კვლევის სფერო ხშირად უსვამს ხაზს „და’ვას“ არსებულ მოდელებს, თითოეულის შესაბამისი ისტორიული საფუძვლების, ფილოსოფიისა და მეთოდოლოგიების ასახვით, როგორებიცაა სუფიების, თაბლიღი ჯამაათის, ჯამაათ ისლამის ან „აპლ ალ-ჭადისისა“. თუმცა, მათი თანაზიარი საფუძვლებისგან დამოუკიდებლად და და’ვას ამ მოდელებში განსხვავებული წვლილის მიუხედავად, მაინც გრძელდება დავა იმას-თან დაკავშირებით, თუ ამ მოდელებისგან რომელი წამოსწევს წინ ყველაზე ეფექტურად ისლამის გაგებას და რამდენად შეუძლიათ მათ რელიგიურ ნორმებსა და თანამედროვეობის კომპლექსურ გამოწვევებს შორის სინ-თეზის განვითარება. მაშასადამე, არა მხოლოდ „და’ვას“ ისლამური თეორიის სიღრმისეული გაგებაა საჭირო, არამედ ასევე „და’ვას“ თანამედროვე პრაქტიკის კრიტიკული ანალიზიც მუსლიმთა სოციალურ-კულტურული კონტექსტების ჭრილში, აგრეთვე იმ გზებისაც, თუ როგორ უნდა მოერგოს „და’ვა“ თანამედროვეობის გამოწვევებს ისე, რომ იმავდროულად ისლამის ფუნდამენტურ პრინციპების ერთგული დარჩეს. ამ საკითხთან მიმართებით, ან გარდაცვლილმა სწავლულმა და მოძღვარმა, მუჰამმად ალ-დაზალიმ, ახალი პერსპექტივა შეიმუშავა „და’ვას“ საკითხის შესახებ. თავისი სიცოცხლის მანძილზე, მან დაწერა 60-მდე წიგნი, რომელთა უმეტესობაც კრიტიკულად და არასტანდარტულად უდგებოდა თანა-

მედროვე „დავას“ საკითხებს.

ალ-ღაზალის¹ ვრცელი განსჯა „დავას“ შესახებ, ასახავს მის ნააზრევსა და მრავალმხრივ პრაქტიკას. ის, მაგალითად, ემყარება ეგვიპტის სასოფლო გარემოში მიღებულ გამოცდილებას, „მუსლიმურ საძმოში“ გავლილ მომზადებას (1937-1953), ალ-აზჰარის უნივერსიტეტში მიღებულ აკადემიურ განათლებას, მის სამთავრობო თანამდებობებზე ყოფნას (1971-1981), აგრეთვე – მის აქტიურ წევრობას მრავალ ისლამურ თუ საქველმოქმედო ორგანიზაციაში და მის პირად ისტორიებსა და მოგზაურობებსაც კი.² იგი ოსმალეთის იმპერიის დაშლის (1922 წელს) შედეგების, სხვადასხვა მუსლიმური ქვეყნის დაღმასვლისა და დაცემის შემსწრე იყო. შესაბამისად, მისი ნააზრევი ასახავს სოციალურ-ისტორიულ გამოცდილებათა ვრცელ სპექტრს, რომელიც სხვადასხვა პოლიტიკურ ეპოქას ეკუთვნის და, ასევე, თანადროულ რეგიონულ და გლობალურ განვითარებას. მისი წიგნები მოიცავს თანამედროვე ისლამური აზროვნების ვრცელ დიაპაზონს, ისე როგორც მუსლიმური საზოგადოებისა და კულტურის ანალიზს მისი მცდელობისას შექმნილიყო მძლავრი ფუნდამენტი „დავას“ პრაქტიკის წარმატებით გამოყენებისთვის.

ეს ნაშრომი წარმოადგენს მთელი რიგი ურთიერთდაკავშირებული საკითხების გამოკვლევის მცდელობას. მთავარი კითხვა, რომელზე პასუხის გაცემასაც ვისახავ მიზნად, შემდეგია: „დავას“ რა მოდელი შეიმუშავა

¹. د. ალ-ღაზალი - الشیخ محمد الغزالی السقا-

². Ishaq Farhan, "Kalimah Jamiyat al-Dirasat wa al-Buhus al-Islamiyyah," in Al-Ata-al-Fikri li al-Shaykh al-Ghazali, p.20.

ალ-დაზალიმ თანამედროვე ისლამისთვის? ამ საკითხის გადასაწყვეტად, შემდეგ შევეხები რამდენიმე მნიშვნელოვან საკითხსაც: ალ-დაზალის გაგებით, რა იყო ადამიანური ბუნების („ფიტრას“) პოზიცია „და'ვასთან“ მიმართებით? რა ეფექტი აქვს სოციალურ-კულტურულ განვითარებას „და'ვაზე“? და რა როლი ენიჭება თავისუფლებასა და რელიგიურ პლურალიზმს „და'ვას“ გაძლიერებაში? აგრეთვე, განვიხილავ როლური მოდელების მნიშვნელობას „და'ვას“ წინსვლის პროცესთან მიმართებით, ისე როგორც სხვა, ამასთან დაკავშირებულ საკითხებს, როგორიცაა „და'ვა“ და მშვიდობა, ასევე „და'ვას“ უნივერსალურობა. ბოლოს კი, ასევე შევეცდები, გავარკვიო ალ-დაზალის ნააზრევის წარმოშობის წყარო და მისი ინტელექტუალური ფორმირების ხელშემწყობი უმთავრესი ფაქტორები.

**პირველი თავი
მუჰამად ალ-დაუელის ცხოვრება,
განათლება და დვაწლი: ისლამური
რეზორმები (1917-1996)**

მისი აზროვნების ფორმირების უკეთ გაგების მიზნით შესწავლილია მის ბავშვობა და აღზრდა-განათლება, შემდგომ კი – პიროვნული თავისებურებები. ასევე გაანაზილებულია, თუ როგორ იმოქმედა მის აზროვნებაზე „მუსლიმ ძმებთან“³ კავშირმა და რა ასპექტებში განსხვავდებოდა ის ჯუფისგან. ამ თავში მოცემულია ალ-ლაზალის კრიტიკული აზროვნების სკოლის მნიშვნელობა და მისი წვლილი ისლამური ცოდნის ფორმირებაში. ხოლო, დასკვნის სახით, შეჯამებულია მისი პროფესიონალური და ინტელექტუალური გზა.

ალ-ლაზალის ბავშვობა და განათლება

მუჰამმად ალ-ლაზალი 1917 წლის 22 სექტემბერს დაიბადა სოფელ „ნიქლა ალ-ინაბში“, რომელიც „ალ-ბუჰარაპის“ პროვინციაში (ჩრდილოეთ ეგვიპტე)⁴ მდებარეობს. მამამისი, აპმად ას-საკუა, რელიგიური პირი იყო, რომელიც შვილის მომავალზე დიდ იმედებს ამყარებდა. სწავლულების მიერ გამოთქმული განსხვავებუ-

³. მუსლიმი ძმები, არაბულად – الـاخوان الـمـسـلـمـون – („ალ-იხვან ალ-მუსლიმუნ“) – 1928 წელს ეგვიპტეში შექმნილი პანისლამური გაერთიანება. დღეს „მუსლიმი ძმების“ ასოციაციები არაერთ მუსლიმურ ქვეყნაში არსებობს.

⁴. Muhammad Imarah, Al-Shaykh Muhammad al-Ghazali wa al-Mawqi al-Fikri wa al-Maatik al-Fikriyyah (Cairo: Dar al-Salam li al-ibaah wa al-Nashr wa al-Tawzi, 2009), p.29.

ლი ვარაუდების მიუხედავად, ალ-ღაზალის სახელი დიდი მკვლევრის, აბუ ჰამიდ ალ-ღაზალის ბაღდადელის (450-505/1058-1111), პატივისცემის ნიშნად დაარქვეს. მამამისი ამტკიცებდა, რომ ქორწინებამდე მას ჰქონდა ხილვა, რომელშიც აბუ ჰამიდ ალ-ღაზალი გამოეცხადა და მოსთხოვა მას, რომ მომავალი შვილისთვის მისი სახელი ეწოდა.

თუნდაც რომ ალ-ღაზალის სახელს არ მოეხდინა მასზე იმ დონის გავლენა, როგორსაც ზოგიერთები მიანერენ, მაინც აშკარაა, რომ დაბადების ადგილს გარკვეული როლი ეკავა მისი პიროვნების ფორმირების თვალსაზრისით. ალ-ღაზალი „ნიქლა ალ-ინაბში“ გაიზარდა – ადგილზე, სადაც რელიგიური გრძნობები ზემოქმედებდა ყოველდღიურ ყოფაზე და დიდწილად ირეკლავდა საზოგადოების ზოგად პრობლემებს.⁵ ალ-ღაზალის მონათხოვი გამოკვეთს ადგილობრივი თემის რელიგიურ კონსერვატიზმს, მის დიდ ინტერესს ყურანის დაზეპირება-სადმი, მის მტკიცე გადაწყვეტილებას შეესწავლა ისლამური კვლევები და შეეძინა სწავლულების გამოზრდის უნარი. უპირობოდ შეიძლება ითქვას, რომ ალ-ღაზალის მოგონებებს მშობლიური დაბის შესახებ დიდი გავლენა ჰქონდა მისი აღზრდისა და, გარკვეულწილად, მისი პიროვნების ჩამოყალიბებაზე. ალ-ღაზალის ერთ-ერთი უმძაფრესი მოგონება საკუთარი სოფლის შესახებ უკავშირდება აჯანყებას ოკუპანტების წინააღმდეგ (1919 წელს). იგი იხსენებს სოფლის ამბოხებულ მცხოვრებ-

⁵. Muhammad al-Ghazali, Jur'at Jadidah min al-Haqq al-Murr (New Doses of the Bitter Truth) (Giza, Egypt: Nahdat Misr li al-Tiba'ah wa al-Nashr wa al-Tawzi', 2004), vol.6, p.44.

ლებს, რომლებიც ჭრიდნენ სატელეფონო ხაზებს და, განსაკუთრებული სიმძაფრითაც – თუ როგორ შემოარტყეს ალყა ოკუპანტმა ჯარისკაცებმა მეჩეთს და როგორ მოკლეს გლეხი, რომელმაც უარი თქვა, დამორჩილებოდა საგანგებო მდგომარეობის კანონს.⁶

ალ-ღაზალის დაბადების დროისთვის არსებული ეკონომიკური მდგომარეობა მხოლოდ ურთულესად შეიძლება აღინიროს. ალ-ღაზალი გაიზარდა ექსპლუატირებულ სასოფლო გარემოში, რომელიც განიცდიდა ფაშებისა და წარჩინებული პირების ძალადობასა და რეპრესიებს. მემამულეთა უსამართლობა და ექსპლუატაცია ფართოდ იყო გავრცელებული, ისე როგორც იმ გლეხების ჩაგვრა, რომლებიც უმცირეს ანაზღაურებას იღებდნენ თავიანთი უმძიმესი გარჯის სანაცვლოდ.⁷ არაა გასაკვირი, რომ ამ სოციალურმა უსამართლობამ გამოიწვია პრივილეგირებული სოციალური კლასების გაჩენა ეგვიპტურ საზოგადოებაში და უზარმაზარი უფსკრული შექმნა მდიდარ და ღარიბ ფენებს შორის. შემოსავლების უთანასწორობა იმ დონეზე ავიდა, რომ ზოგიერთები ხორბალს თესავდნენ, მაგრამ თივით იკვებებოდნენ; მოყავდათ ბამბა, მაგრამ ღარიბულად ეცვათ; აშენებდნენ მაღალ შენობებს, მაგრამ სიღატაკეში ცხოვრობდნენ. ამ გარემოებებმა გამოიწვია ალ-ღაზალის ძლიერი თანაგრძნობა მოსახლეობისადმი ზოგადად მისი ტანჯვის, ჩაგ-

⁶. Muhammad al-Ghazali, “Qissat Hayat al-Shaykh,” (Excerpts from the Memories of al-Ghazali: A Life Story) Islamiyyat al-Ma’rifah, 7 (1997), p.155.

⁷. Muhammad al-Ghazali Ta’ammulat fi al-Din wa al-Hayat (Reflections about Religion and Life) (Giza: Nahdat Misr li al-Tiba’ah wa al-Nashr wa al-Tawzi’), pp.44-46.

ვრისა და მისდამი ცუდად მოპყრობის გამო.⁸

1914 წლისთვის, მცირე მესაკუთრეები მემამულეთა 90%-ს წარმოადგენდნენ, თუმცა მიწის მხოლოდ ერთ მეოთხედს ფლობდნენ. მსხვილმა მემამულეებმა საერთო ინტერესების საფუძველზე ჯგუფი შექმნეს და მიწის-მფლობელობა მათ ეგვიპტური საზოგადოების სათავეში პრივილეგირებულ პოზიციაში აყენებდა. 1966 წლისთვის მოსახლეობის სიმჭიდროვემ კვადრატულ კილომეტრზე 845 სულს მიაღწია. მიწის ფართობთან შეფარდებით ადამიანთა რაოდენობის ზრდას, ცხადია, დამამდიმებელი ეფექტი ჰქონდა საშუალო შემოსავალზე და დაბალი შემოსავალი ეგვიპტელ გლეხებს მეურნეობის გაფართოების საშუალებას არ აძლევდა. სასოფლო-სამეურნეო მიწის ფასი მეტად ძვირი იყო შესაძენად. სოციალური იერარქიის ფსკერზე მყოფი გლეხები, კვლავაც, ორგანიზმის დამასუსტებელი დაავადებების, სიღატაკისა და საკვების უკმარისობისგან იტანჯებოდნენ. ამგვარმა სოციალურ-ეკონომიკურმა პირობებმა სიღრმისეული გავლენა მოახდინა ალ-ღაზალის აზროვნებაზე, რამაც ის მიიყვანა იმ დასკვნამდე, რომ მსგავსი სიდუხჭირის, ავადმყოფობისა და გაუნათლებლობის პირობებში რელიგიის-თვის ლაღი გარემო ვერ შეიქმნებოდა.⁹ ცხოვრების სიმძიმემ იგი ასევე დააფიქრა რელიგიურ პროგრესსა და გარემოს შორის ურთიერთკავშირზე, აგრეთვე მიმართებაზე ეკონომიკურ განვითარებასა და „და'ვას“ შორის.

ალ-ღაზალიმ განათლება რამდენიმე ადგილზე მიი-

⁸. Ahmad Assal, “Al-Jawanib al-Nafsiyyah wa al-Khuluqiyah,” in Al-'Ata' al Fikri li al-Shaykh al-Ghazali, p.28.

⁹. Al-Ghazali, Al-Islam wa Awda'unna al-Iqtisadiyyah (Islam and our Economic

ლო, დაწყებული „ქუთთანბით“¹⁰ და დამთავრებული ალექსანდრიის რელიგიური ინსტიტუტითა და ალ-აზჰარის უნივერსიტეტით. ხუთი წლის ასაკში, ყურანის სწავლის მიზნით, ალ-ღაზალი ადგილობრივ „ქუთთანბში“ ჩაირიცხა.¹¹ იდეალურ შემთხვევაში, „ქუთთანბის“ მოსწავლეს სრულად უნდა გაეთავისებინა ყურანის ტექსტი, შესაბამისად, სწავლა სიტყვების მნიშვნელობასა და ძალაზე იყო დაფუძნებული. კითხვისა და წერითი უნარები მეორადი იყო ღმერთის სიტყვის ზუსტ გადმოცემასთან შედარებით, რაც წმინდა ლექსების ყოველდღიური მოსმენითა და გამეორებით მიიღწეოდა.

1927 წელს, 10 წლის ასაკში, ალ-ღაზალი ალექსანდრიის რელიგიურ ინსტიტუტში ჩაირიცხა, სადაც მომდევნო ცხრა წლის მანძილზე სწავლობდა. სასწავლო კურსებში შედიოდა როგორც თეოლოგიური, ისე საერო მეცნიერებები.¹² ამასთანავე, ალ-ღაზალის საშუალება ჰქონდა, გამოეყენებინა მამამისის წიგნის მაღაზია. მამა მას ხშირად მოუწოდებდა კითხვისკენ, მაგრამ მისდა სამწესაროდ, აღმოაჩინა რომ რელიგიურ ლიტერატურას ალ-ღაზალი უცხოურ რომანებს ამჯობინებდა.¹³ ერთერთი მიზეზი, რომლითაც ალ-ღაზალი ამ მიკერძოებულობას ხსნის, ისაა, რომ ეს რელიგიური წიგნები სავსე იყო შეთხზული და არაავთენტური ჰადისებითა და აბ-

Conditions) (Damascus: Dar al-Qalam, 2000), p.62.

¹⁰ დაწყებითა რელიგიური სასწავლებელი.

¹¹. Masud Fallussi, Al-Shaykh Muhammad al-Ghazali Ghūn Basiq fi Shajarat al-Khulud (Al-Shaykh Muhammad al-Ghazali, A Lofty Branch in a Tree of Eternity) (Cairo:Maktabat Wahbah, 2003), p.24.

¹². Fallussi, Ghusn Basiq, p.28.

¹³. See al-Ghazali, “Qissat Hayat,” p.158.

სურდული მითებით.¹⁴

1937 წელს, ალ-ღაზალი ალ-აზჰარის თეოლოგიის ფაკულტეტზე ჩაირიცხა. ოთხნერი სწავლის შემდეგ, მან მიიღო დიპლომი („პლამიდა“) და ორნლიან მაგისტრატურაში გააგრძელა სწავლა „და'ვასა“ და რელიგიური დამოძღვრის („ალ-და'ვა ვა-ლ-ირშად“) მიმართულებით. ფაკულტეტზე ყოფნის პერიოდში, ალ-ღაზალი იმამად მსახურობდა „ალ-'ათაბა ალ-ხადრა'ს“ მეჩეთში. სწავლის მთელი პერიოდის მანძილზე, ალ-ღაზალი განიცდიდა ისეთი სწავლულების ზეგავლენას, როგორიც მაგალითად იყო აბდ ალ-აზიმ ალ ზარკანი. მისი კიდევ ორი სხვა დიდი ზეგავლენის მქონე მასწავლებლები იყვნენ იბრაჰიმ ღარბავი და აბდ ალ-აზიზ ბილალი.

ალ-ღაზალი ხშირად ეყრდნობა საკუთარ ადრეულ განათლებასა და მასთან დაკავშირებულ პრობლემებს იმის დასაბუთების მიზნით, რომ საგანმანათლებლო სისტემის გაუმჯობესება სასიცოცხლო და რეალურად აუცილებელი წინაპირობა იყო თანამედროვე ისლამური რეფორმის გატარებითვის. მან, აგრეთვე, გამოიყენა განათლების სფეროში მიღებული საკუთარი გამოცდილება „და'ვას“ საგანმანათლებლო პრობლემების, ანუ ინტეგრალური კავშირის, რომელიც არსებობს სასულიერო განათლებასა და „და'ვას“, რაც ემატება ბმას ეფექტიან განათლებასა და რელიგიურ პროგრესს შორის, შეფასებისა და გამოკვეთის მიზნით. ალ-ღაზალის მტკიცედ სწამდა, რომ რელიგიური ლიტერატურის დიდი ნაწილი, რომელ-საც საზოგადოება იყენებდა, მათ შორის ისიც, რასაც

¹⁴. Ibid., p.159.

ალ-აზჰარის უნივერსიტეტი გამოსცემდა – შინაარსობრივადაც და სტილისტურადაც ღარიბი იყო და, შედეგად, ამან დიდი ზიანი მოუტანა მუსლიმურ კულტურას. ალ-ღაზალის რწმენით, „ქუთაბაბი“ თრგუნავდა ბავშვების აქტივობასა და გართობის უნარს და ემოციურ პრობლემების წინაშე ტოვებდა მათ. ამასთან, იგი თვლიდა რომ როზგის გამოყენება ზიანის მომტანი იყო მოსწავლისათვის, რამდენადაც ბავშვის აღზრდა თანაგრძნობას, მოთმინებას, შემწყნარებლობასა და სისასტიკისგან დაცლილ სიმკაცრეს მოითხოვს. მას სწამდა, რომ მიუხედავად მათი კეთილი განზრახვებისა, ზოგიერთი „ქუთაბაბი“ მხოლოდ „ხმოვან ჩანაწერებს“ ქმნიდა და არა მისაბად ნიმუშებს.¹⁵ თუმცა მხოლოდ დაზუთხვის მეთოდის იდეაზე დაყრდნობისადმი მისი წინააღმდეგობის მიუხედავად (ანუ „ხმოვან ჩანაწერებს“ წარმოებისადმი),¹⁶ ალ-ღაზალი მაინც ყურანის ტრადიციული ტრანსმისიის მხარდამჭერად რჩებოდა.

უფრო ზოგადად რომ ვიმსჯელოთ, სასულიერო განათლება ალ-ღაზალის დროს ყველაზე დაბალ საფეხურამდე დაქვეითდა, და ის გრძნობდა, რომ ეს არც ისლამს ემსახურებოდა და არც კომპეტენტურ მონაფეებს იზიდავდა. ალ-ღაზალიმ რელიგიური განათლების სფეროში მომდევნო სამ პრობლემაზე გაამახვილა ყურადღება: ა) ემოციური და ინტელექტუალური გონიერების ნაკლებობა რელიგიის სწავლულების მხრიდან;¹⁷ ბ) ნაადრე-

¹⁵. Ibid., pp.168-169.

¹⁶. Al-Ghazali, Ta'ammulat, p.113.

¹⁷. Al-Ghazali, Kayfa Nafham al-Islam? (Understanding Islam) (Damascus: Dar al-Qalam, 2000), p.28.

ვი აკადემიური სპეციალიზაცია საჭირო ჰქონილი და სამეცნიერო საკითხების საბაზისო ცოდნის მიღებამ-დე;¹⁸ გ) ისლამის საკვანძო საფუძვლების სუსტი გაცნო-ბიერება და გადაჭარბებული ყურადღება ტრივიალური საკითხების მიმართ.¹⁹

ალ-ღაზალის მსჯელობა სასულიერო განათლების სავალალო მდგომარეობის შესახებ, გამოხატავს ჭეშმა-რიტ ინტერესს მისი მოდერნიზაციის მიმართ თანამედ-როვე დისციპლინების ჩართვის საშუალებით. ალ-ღაზა-ლი თვლიდა, რომ ისლამური კვლევების კურსდამთავრე-ბულებმა უნდა მიიღონ არა მხოლოდ ტრადიციული ცოდნა, არამედ თანამედროვე მეცნიერებაც უნდა ესმო-დეთ. ეს მათ საშუალებას მისცემდა, გამოეყენებინათ თანამედროვე პერსპექტივა ისლამის გავრცელებისთვის და, ამავე დროს, წინ წაეწიათ „და'ვას“ საქმე სამეცნიე-რო პროგრესის პარალელურად. ჩანს, რომ სწავლა ფას-დება საზოგადოებრივი ცხოვრების გაუმჯობესების ჭრილში, რაც ესმარება ხალხს მიუსადაგონ ისლამის ღი-რებულებები ყოველდღიურ ყოფას ან გააძლიერონ რე-ფორმებისთვის აუცილებელი შეუქცევადი სოციალური ცვლილებები.

¹⁸. Ibid., p.30.

¹⁹. Ibid., p.32.

ალ-ღაზალის პიროვნების კვლევა

იმის გასარკვევად, თუ რა დონეზე ჰქონდა გავლენა ალ-ღაზალის პიროვნებას ამგვარ ევოლუციაზე, ვფიქრობ, რომ მისი საკვანძო პიროვნულ თვისებებში, რომლებმაც ალბათ ის ხასიათდება, შედის თავდაჯერებულობა, სიმართლის დაცვა და ერთგულება, სამართლიანობისა და თანასწორობისთვის ბრძოლა და თავდადება ჩაგვრისა და დამცირებისგან გათავისუფლებისთვის ბრძოლაში. ალ-ღაზალი მიიჩნევდა, რომ მზრუნველობა განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ადამიანური პროგრესისთვის და გმობდა უხეშობას, აგრესიასა და გულქვაობას. მიუხედავად იმისა, რომ ალ-ღაზალის უყვარდა მოთმინება და თავშეკავება, ის გარკვეულ შემთხვევებში კარგავდა კონტროლს, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც ხედავდა, თუ როგორ ერეოდნენ უვიცები საზოგადოებრივ საკითხებში, იღებდნენ საზიანო გადაწყვეტილებებს ან ერთვებოდნენ ფუჭ გარჩევებში.²⁰

ალ-ღაზალის არაადამიანურად მიაჩნდა ყველა ის ქმედება, რომელიც ინტელექტისა და ცნობიერების თავისუფლების თუნდაც ერთ მისხალს უარყოფდა. სწორედ თავისუფლებისადმი ამ რწმენამ მიიყვანა იგი რელიგიური ფორმალობებისა და რელიგიური თუ სოციალურ-კულტურული ცხოვრების მრავალი გამოხატულების კრიტიკამდე. ის ასევე აღიქვამდა ინტელექტს რელიგიის სტრუქტურულ ფუნდამენტად, რადგან მისი რწმენით, ინტელექტუალურ მტკიცებულებებს დიდი ძალა

²⁰. Al-Ghazali, Min Maqalat al-Shaykh al-Ghazali (Essays by Shaykh al Ghazali) (Giza: Nahdat Misr li al-Tiba'ah wa al-Nashr wa al-Tawzi', 2002), vol.2, p.110.

აქვს და მხოლოდ ინტელექტის მეშვეობით შეუძლია ადა-
მიანს ღმერთის შეცნობა, გამოცხადების ჭეშმარიტების
გააზრება და ადამიანის იმქვეყნიურ ცხოვრებაში მოხ-
ვედრის პასუხისმგებლობის გაცნობიერება.²¹ აშკარა
ხდება, რომ მისმა ინტელექტუალურმა თავისუფლებამ
მრავალი კრიტიკული კითხვა წარმოშვა მუსლიმურ ყო-
ფასა და ისლამურ დისციპლინებთან მიმართებით, რო-
გორიცაა რწმენა, იურისპრუდენცია და ისტორია.

აგრეთვე, საგულისხმოა იმაზე დაკვირვებაც, თუ
რამდენად პრობლემურად იყენებს ალ-ღაზალი ნეგატი-
ურ და ხანდახან უხეშ ენას მსჯელობის ხერხად. მისი ინ-
ტელექტუალური გზა, ქუთაბპასა თუ ალ-აზჰარში, ასევე
არ იძლევა ტრადიციული სასულიერო პედაგოგიკის მი-
მართ მისი მკაცრი თუ უარყოფითი დამოკიდებულების
გამართლების საშუალებას. თუმცა, როგორც ჩანს, მნიშ-
ვნელოვანმა მოვლენებმა მაინც დატოვეს მასზე კვალი,
მაგალითად, ოსმალეთის სახალიფოს დაცემამ, უცხოე-
ლების მიერ მუსლიმური სამყაროს ექსპლუატაციამ, პა-
ლესტინის ოკუპაციამ და სტაგნაციამ, რომელიც დაღს
ასვამდა მუსლიმურ სამყაროს.²² ის ბოდიშს უხდის მკით-
ხველებს იმ გამწარებისა და ბრაზისთვის, რომელიც ის-
ტორიის გაკვეთილებმა დაუტოვეს და იმ სიხისტისთვი-
საც, რომელიც მის მიერ მუსლიმთა წარუმატებლობებზე
მსჯელობისას იკვეთება. ამასთანავე, ალ-ღაზალის გან-
ცხადებები ხშირად პესიმისტურად უღერს და არანაირ

²¹ Al-Ghazali, Sayhat Tahdhir min Du'at al-Tansir, 1st edn., (Damascus: Dar al-Qalam, 2000), p.33.

²². Al-Ghazali, Al-Islam wa al-Istibdad al-Siyasi (Damascus: Dar al-Qalam, 2003), p.207.

ადგილს არ ტოვებს იმედისთვის. მისი ემოციური ცინიზმი მუსლიმური სამყაროს სხვა ერებთან შედარებიდან მომდინარეობს, ისევე როგორც იმ უსიამოვნო განცდის-გან, რომელსაც მასში ტანჯვა და დამცირება იწვევდა. ალ-ღაზალის უარყოფითი დამოკიდებულების მიზეზი მისი სულ უფრო მზარდი განრისხება იყო მუსლიმთა სოციალურ-კულტურული დაკინებული რეალობის გამო.

ალ-ღაზალი და მუსლიმი ძმები

ალ-ღაზალი იცნობდა ჰასან ალ-ბანნას, მუსლიმი ძმების მეთაურს, იმ დროიდან, როდესაც ის ალექსანდრიის რელიგიური ინსტიტუტის სტუდენტი იყო. მოგვიანებით, ოცი წლის ასაკში, იგი მუსლიმ ძმებს შეუერთდა და ჩვიდმეტი წლის მანძილზე ჯგუფის აქტიურ წევრად დარჩა.²³ ალ-ბანნამ იგი მუსლიმი ძმების უურნალის („მაჯალლათ ალ-იხვან ალ-მუსლიმის“) პასუხისმგებელ მდივნად დანიშნა. ალ-ღაზალის სამწერლობო ნიჭმა „ადრბ ალ-და'ვას“, ანუ „და'ვას“ მწერლის საპატიო ტიტული მოაპოვებინა მუსლიმ ძმებში. მისი ლიტერატურული უნარები და ინტელექტუალური კომპეტენცია ასევე მაღე გამოაშკარავდა მათ პუბლიკაციებში.²⁴ ალ-ღაზალი იყო ორგანიზაციის აქტიური წევრიც და ასევე ვაკუფთა სამინისტროში სწავლულის ოფიციალური პოსტიც ეკავა.

²³. Al-Ghazali, Qadha'if al-qaqq (Damascus: Dar al-Qalam, 2002), p.81;Dustur al-Wihdah al-Thaqafiyah, p.9.

²⁴. Muhammad Imarah, Al-Shaykh Muhammad al-Ghazali, al-Mawqi' al-Fikri wa al-Ma'arik al-Fikriyyah (The Intellectual Position of Muhammad al Ghazali and the Intellectual Debates) (Egypt: Al-Hay'ah al-Misriyyah al-'Ammah li al-Kitab, 1992), p.31.

თავის ნაწერებში ალ-ღაზალი მოიხსენიებს ალ-ბან-ნას პირველ მასწავლებლად და მენტორად.²⁵ ალ-ბანნას მკვლელობიდან (1948) სულ მალე დღის სინათლეზე იხილა ორგანიზაციაში არსებული პრობლემებმა. ალ-ღაზალის უთანხმოებამ ახალ არჩეულ ლიდერთან, ჰუსაინ ჰუდაიბისთან (1891-1973), გამოიწვია მისი დათხოვნა, რასაც ურთიერთბრალდებები მოჰყვა.²⁶ კერძოდ, ალ-ღაზალის დათხოვნა განაპირობა უთანხმოებამ საქმოს გადაწყვეტილებასთან დაკავშირებით – ბოიკოტი გამოეცხადებინათ ჯამალ აბდ-ალ ნასირის მთავრობისთვის.²⁷ მაგრამ, სინამდვილეში, ალ-ღაზალის კონფლიქტი მუსლიმ ძმებთან გაცილებით უფრო ადრე დაიწყო. ალ-ღაზალის რომ შეენარჩუნებინა პოლიტიკური აფილიაცია საქმოსთან, მისი წვლილი, შესაძლოა, სულ სხვა გზით განვითარებულიყო. მაგრამ რამდენადაც ეს მოხდა, მისმა ფორმალურმა ჩამოშორებამ სტრუქტურირებული ისლამური მოძრაობისგან, მას აუცილებელი თავისუფლება მისცა იმისათვის, რომ „და‘ვას“ საკითხებზე დამოუკიდებლად, კრიტიკულად და ფართოდ ემსჯელა.

²⁵. See al-Qaradawi, Al-Shaykh al-Ghazali kama ‘Araftuh, Rihlat Nisf Qarn (Al-Shaykh al-Ghazali as I Knew Him, A Journey of Half of a Century) (AlMansurah, Egypt: Dar al-Wafa’ li al-Tiba’ah wa al-Nashr wa al-Tawzi’, 1995), p.31.

²⁶. Al-Ghazali, “Qissat Hayat,” p.197.

²⁷. Al-Assal, “Al-Jawanib al-Fikriyyah,” in Al-’Ata’ al-Fikri li al-Shaykh al Ghazali, p.54.

ალ-დაზალის კრიტიკული აზროვნების სკოლა და მის მიერ შეტანილი წვლილი ისლამურ ცოდნაში

ალ-დაზალის კარიერის მანძილზე მისი აზროვნება შეიცვალა და განვითარდა. მისი ნაშრომი „კულტურული ერთიანობის აგებულება“, კიდევ ერთი დასტურია მისი მზარდი დამოუკიდებლობისა მუსლიმი ძმების მიერ წა-მოქრილი პრობლემების ძირითადი სფეროსგან, რომე-ლიც გადმოცემულია ალ-ბანნას ოც პრინციპში.²⁸ ალ-დაზალიმ ჩამოაყალიბა ათი ახალი პრინციპი, რომლებიც საჭიროა თანამედროვე რეფორმის განხორციელებლად:

- 1) ქალები და კაცები პარტნიორები არიან; 2) ოჯახი წარმოადგენს საზოგადოების მორალურ და სოციალურ საყრდენს (მხარდამჭერს) და ბუნებრივ ცენტრს თაობე-ბის აღზრდა-განათლებისთვის; 3) ადამიანთა მორალური და ეკონომიკური უფლებები უნდა იყოს გარანტირებუ-ლი და დაცული; 4) მმართველები, იქნებიან ისინი მეფე-ები თუ პრეზიდენტები, არიან უბრალოდ წარმომადგენ-ლები, რომლებიც თავიანთი ქვეყნის სახელით მოქმედე-ბენ; 5) ორმხრივი კონსულტაცია წარმოადგენს მთავრო-ბის საფუძველს: ყველა ერმა უნდა აირჩიოს მეთოდი, რომლითაც მისი ინტერესების განხორციელება ყველაზე უკეთ მოხდება; 6) დაცული უნდა იყოს პირადი საკუთ-რების პირობები და უფლებები. ერთ წარმოადგენს ერთ სხეულს, რომელიც ვერ ურიგდება უგულებელყოფას ან დამონებას; 7) მუსლიმურ ქვეყნებს პასუხიმგებლობა ეკისრებათ „და'ვაზე“; 8) რელიგიური განსხვავებები არ

²⁸. See Said Hawwa, Fi Afaq al-Ta'alim (Beirut, Lebanon: The Holy Qur'an Publishing House, 1980), pp.168-173.

უნდა იწვევდეს მტრობას ან ბრძოლას; 9) მუსლიმების კავშირი საერთაშორისო საზოგადოებრიობასთან ადამიანთა ძმობის შეთანხმების პირობებით უნდა ხელმძღვანელობდეს; მუსლიმებმა უნდა განახორციელონ „და'ვა“ მსჯელობითა და დარწმუნებით, ყოველგვარი ზიანის მიყენების გარეშე და 10) მუსლიმებმა თავიანთი წვლილი უნდა შეიტანონ კაცობრიობის მორალური და მატერიალური კეთილდღეობის უზრუნველყოფაში.²⁹ ეს პრინციპები მუსლიმური საზოგადოებების რეფორმირებისკენ იყო მიმართული.

ალ-ლაზალის მთავარ საზრუნავთა შორისაა რამდენიმე ურთიერთდაკავშირებული პრობლემა, როგორიცაა ისლამის შესახებ ფრაგმენტული წარმოდგენები, მუსლიმური კულტურის ამჟამინდელი მდგომარეობა, ცხოვრებისადმი ნეგატიური დამოკიდებულება, მუსლიმური სამყაროს ფატალიზმი, მიზეზობრიობის პრინციპის არასწორად გაგება, მუსლიმურ საზოგადოებებში არსებული გადაჭარბებული თავმოწონების ტრადიციები, ქალების სტატუსი სისუსტისა და დაკრინების პერიოდებში, ერთ დროს მდიდარი არაბული ლიტერატურის დაბალი დონე, დოვლათის არასწორი მენეჯმენტი და პოლიტიკური კორუფცია.³⁰ ალ-ლაზალი არ ერგებოდა არცერთ მუსლიმურ მოძრაობას, რადგან მისი მუდმივი კრიტიკა მხოლოდ თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის პირობებს მიესადაგებოდა. მისი ზრუნვის საგანი იყო წყაროების მუსლიმური ინტერპრეტაციის გაგების გადააზრება და

²⁹. Al-Ghazali, Dustur al-Wihdah, pp.236-237.

³⁰. Al-Ghazali, Al-Da'wah al-Islamiyyah Tastaqbil Qarnaha al-Khamis 'Ashar (Damascus: Dar al-Qalam, 2001), pp.68-92.

განწმინდა, რათა მუსლიმებს ხელახლა დაემკვიდრებინათ თავიანთი კუთვნილი ადგილი კაცობრიობაში.

ალ-ღაზალის სწამდა, რომ მისი ნაშრომები შთამა-გონებელ რეალობების ასახვას ემსახურებოდა. მათი მიზანი იყო იმ ცნობიერების სტიმულირება, რომელიც მორწმუნეთა გულებში ბუდობს და მუსლიმების აუცილებელი, სხვადასხვა მნიშვნელობების წვდომისთვის გა-საღებებით უზრუნველყოფა. მისი ტექსტები თანაბრად პასუხობს ინდივიდისა და საზოგადოების ინტელექტუალურ და ემოციურ საჭიროებებს.³¹ მისი ნაწერები, აგ-რეთვე, აზრთა და ემოციათა ერთდროულად ცხადი და ბუნდოვანი გადმოცემაა, რომელიც დიდწილად მგზნება-რე გრძნობებითა და ენთუზიაზმის ზეგავლენითაა გამო-ხატული.³²

ალ-ღაზალის პროფესიული და ინტელექტუალური ცხოვრება

ალ-ღაზალი თანმიმდევრულად წინაურდებოდა ეგ-ვიპტის ვაკუფების სამინისტროს ისლამური პროპაგან-დის დეპარტამენტის ადმინისტრაციულ იერარქიაში. ის დანიშნული იყო მეჩეთების მეთვალყურედ, მქადაგებ-ლად ალ-აზჰარში, მეჩეთებისა და დამოძღვრის დირექ-ტორად და ბოლოს, „ალ-და'ვა ვა ალ-ირშადის“ დირექ-ტორად. 1971 წლის 18 ივლისს, აბდ ალ-აზიზ ქამილმა, იმ დროს ალ-აზჰარის ვაკუფებისა და საქმეთა მინის-

³¹. Al-Ghazali, Al-Haqq al-Murr, vol.3, p.3.

³². Halim Uways, Al-Shaykh Muhammad al-Ghazali, Tarikhuhu wa Juhuduhi wa Ara'uhu, pp.10-11.

ტრმა, იგი სამინისტროს მინისტრის მოადგილედ დანიშნა. 1981 წელს, ეგვიპტის პრეზიდენტმა, ანვარ ას-სადათმა (1970-81), იგი „ად-და'ვას“ მინისტრის მოადგილედ დანიშნა ვაკუფების სამინისტროში. მიიჩნევა, რომ თავისი ნაწერებით, გამოსვლებით, ლექციებითა და რადიო/სატელევიზიო გადაცემებით, ალ-ღაზალიმ შთამბეჭდავი გავლენა მოახდინა მუსლიმთა აზროვნებაზე ეგვიპტეში და სხვაგანაც. მის მიერ მხარდაჭერილ მრავალ სხვა ინიციატივას შორის აღსანიშნავია ის, რომ ალ-ღაზალიმ უზრუნველყოფით ქალების დაშვება მრავალ მეჩეთში.

ალ-ღაზალის ლექციები და პუბლიკაციები, რომელიც მწვავედ აკრიტიკებდა ეგვიპტეში არსებულ პირობებს და ფარდას ხდიდა შეთქმულებებს ისლამისა და მუსლიმური საზოგადოების წინააღმდეგ, აღიზიანებდა ეგვიპტის ხელისუფალთ. ალ-ღაზალი გაფრთხილებული იყო, მაგრამ ამის მიუხედავად, მაინც გადაწყვიტა განეგრძო თავისი მოღვაწეობა, რამაც გამოიწვია მისთვის რელიგიური საქმიანობების აკრძალვა, ხოლო 1974 წელს, ეგვიპტის მთავრობამ იგი შავ სიაში შეიყვანა.³³ მას შემდეგ, რაც აეკრძალა „ხუტბების“ წარმოთქმა „ამრუ იბნ ალ-‘ასის“ მეჩეთში, ალ-ღაზალიმ მეფე აბდ ალ-აზიზის უნივერსიტეტში, ჯიდაში, და მოგვიანებით „უმმა ალ-ქურას“ უნივერსიტეტში, მექაში, საუდის არაბეთში მიიღო თანამდებობა. იქ თავისი საქმიანობა რადიო გადაცემებისა და გაზეთების საშუალებით განაგრძო. ამასთანავე,

³³. Al-Ghazali, Min Ma'alim al-Haqiq fi Kifahina al-Islami al-Hadith (Signposts from our Present Islamic Struggle) (Giza, Egypt: Nahdat Misr li al-Tiba'ah wa al-Nashr wa al-Tawz'i' 2003), pp.95-96.

ასწავლიდა და ხელმძღვანელობდა სტუდენტებს, მსახურობდა სხვადასხვა აკადემიურ საბჭოში მუსლიმურ უნივერსიტეტებში და მონაწილეობას იღებდა „დავას“ წარმომადგენლობების საქმიანობაში. კატარში, მაგალითად, მან განსაკუთრებით თვალსაჩინო წვლილი შეიტანა კატარის უნივერსიტეტის შარიათის ფაკულტეტის განვითარებასა და ისლამური ცნობიერების გავრცელებაში მედიის, მეჩეთებისა და ასოციაციების მეშვეობით. 1984 წელს ალ-ღაზალი დაინიშნა კონსტანტინაში (ალჟირი) „ალ-ამირ აბდელკადირის“ უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს თავმჯდომარედ. ალჟირში გატარებული ხუთი წლის შემდეგ, 1989 წელს, იგი ეგვიპტეში დაბრუნდა.

ეგვიპტეში ყოფნის უკანასკნელ პერიოდში, ალ-ღაზალიმ დაიწყო სერიოზული კვლევითი საქმიანობა ყურანის, სუნნას, მუსლიმური ინტელექტუალური მემკვიდრეობისა და თანამედროვე მუსლიმური პრობლემების შესწავლის მეთოდოლოგიაზე. ამასთანავე, მთელი თავისი სამეცნიერო მოღვაწეობის მანძილზე, ალ-ღაზალიმ შეინარჩუნა „დავას“ მიმართ ღრმა ინტერესი. ალ-ღაზალის „დავა“ იძლევა რელიგიურ პერსპექტივას, რომელიც ეხება მუსლიმთა ინტელექტუალური, კულტურული და სოციალურ-პოლიტიკური ცხოვრების მრავალ ასპექტს და ღრმად იკვლევს რელიგიური და სოციალური პრობლემების გამომწვევ მიზეზებს. ალ-ღაზალის წვლილი, იქნება ეს მუსლიმი ძმების, მუსლიმური უნივერსიტეტებისა თუ ვაკუფების სამინისტროში, „ტრადიციული“ ისლამის სახელითა და მის სასარგებლოდ იყო განეული. ამის მიუხედავად, მისი ტრადიციული მიდგომა სახავდა ახალ პერსპექტივებს, მხარს უჭერდა მოდერნულ ცვლი-

ლებებს, არ ითვალისწინებდა რელიგიურ ფორმალობებს და აკრიტიკებდა თანამედროვე რელიგიურ წესრიგს.

მისი ნაშრომები საზოგადოებისა და კულტურის პრობლემებს ასახავს, ცდილობს თანდაყოლილი სისუსტეებისა და ჩავარდნების მიზეზების დადგენას და ხაზს უსვამს „და'ვას“ ნინაშე არსებულ პასუხისმგებლობებსა და გამოწვევებს. მისი ფართო ინტელექტუალური მომზადება და მდიდარი გამოცდილება ასევე გამოიხატებოდა „და'ვას“ კონცეპტების განვითარების, კულტურული დაბრკოლებების კვლევის, „და'ვას“ სამართლებრივი შედეგების და „და'ვას“ სფეროში გაუწვრთნელი, მოუმზადებელი, მენტალურად შეუიარაღებელი და გონებრივად შეზღუდული თანამედროვე „და'ვას“ მცდელობების კრიტიკის თვალსაზრისით. მისმა ნააზრევმა ასევე დაამყარა ლოგიკური კავშირი საკრალურსა და სეკულარულს, რელიგიასა და თანამედროვეობას, რელიგიურსა და საერო ცხოვრებას შორის.

მისი ნააზრევი გამოიხატა თანამედროვე ისლამური რეფორმის საკვანძო იდეების სახით. მათ შორისაა მისი მასწავლებლის, ჰასან ალ-ბანნას შეხედულებები ისლამის ყოვლისმომცველი ბუნების და საერო და რელიგიურ სამყაროებს შორის არსებულ ცრუ დიქოტომიასთან მიმართებით. თუმცა, ვრცელი რელიგიური კონტექსტის განხილვის ნაცვლად, ალ-ლაზალიმ აირჩია ყურადღების გამახვილება „და'ვასა“ და სიცოცხლეს შორის არსებულ ახალ ფუნდამენტურ ურთიერთმიმართებაზე და, ამგვარად, თანამედროვეობის გამოწვევები „და'ვას“ შესახებ თავისი თეზისის ცენტრში მოაქცია.

მეორე თავი

„დავას“ თეორიული ანალიზი

ითვლება, რომ კონცეპტუალური ჩარჩო ალ-ღაზალიმ წინ წამოსწია „დავას“ გამოსაკვეთად და რელიგიური, კულტურული და სოციალურ-ეკონომიკური კონტექსტების ხაზგასასმელად. ალ-ღაზალიმ „დავა“ ორ უმნიშვნელოვანეს კონცეპტს დაუკავშირა. პირველია ადამიანის თანდაყოლილი ბუნება და იმ გზების აღმოჩენისა და შესწავლის მცდელობა, რომელთა მიხედვითაც „დავას“ პრაქტიკა შეესატყვისება ადამიანურ ბუნებას. მეორეა „დავას“ სოციალურ-ეკონომიკური და კულტურული კონტექსტი – ის მოიცავს არა მხოლოდ იმ სოციალური და ეკონომიკური პრობლემების განხილვას, რომელიც ამჟამინდელ „დავას“ ხელს უშლის, არამედ სინერგიასაც „დავას“ ფუნდამენტურ ხასიათსა და საზოგადოებათა მუდმივად ცვალებად ბუნებასა და მოთხოვნილებებს შორის. ამ კონტექსტის მიხედვით, წამოჭრილია საჭირბოროტო საკითხები „დავასა“ და თავისუფლებას შორის არსებული თანაზომიერი დამოკიდებულების შესახებ და რამდენად შეძლო ალ-ღაზალიმ, „დავას“ მიმართ თავისი უნივერსალური მიდგომით, „დავა“ მუსლიმური სამყაროს გეოგრაფიულ საზღვრებს მიღმა შესწავლა.

ალ-ღაზალის კონცეპტუალური ჩარჩო

ალ-ღაზალის კონცეპტუალური კონსტრუქციისა და „და’ვას“ კვლევაში მისი მიდგომის წვლილის განხილვისას, მნიშვნელოვანია იმის აღნიშვნა, რომ იგი ყურანს „და’ვას“ არსის გამოხატვის, მისი პროგრესის ყოვლის-მომცველი ანგარიშგებისა და რელიგიური გზავნილის ტრანსმისიისთვის დამახასიათებელი სირთულეების გამოხატულებად აღიქვამდა. ავტორი, აგრეთვე, მოუხმობს ადრეული შუამავლების მიერ ჩამოყალიბებულ „და’ვას“ მოდელებს. შუამავლებთან და „და’ვასთან“ დაკავშირებული ყურანისეული გადმოცემები აჩვენებენ, რომ, საღვთო გზავნილების ტრანსმისიისას შუამავლები მუდამ ერთ პრინციპს ეყრდნობოდნენ და სანაცვლოდ არანაირ მატერიალურ კომპენსაციას ან ჯილდოს არ ელოდნენ. შუამავლები არც სიტყვით მოვაჭრები იყვნენ და არც დიდების მაძიებლები. ისინი გასცემდნენ, მაგრამ არაფერს იღებდნენ უკან და მათ აირჩიეს მსხვერპლის გაღება ყოველგვარი სარგებლისა თუ მონაგარის მიღების გარეშე.³⁴ ალ-ღაზალისთვის ეს მაგალითები იმას მოწმობდა, რომ „და’ვას“ პრაქტიკა თავისუფალი უნდა იყოს ამქვენიური მიზნებისგან.

მეტიც, სამოციქულო „და’ვა“ სწორხაზოვანი, მარტივი, გასაგები, წრფელი და მწყალობელი იყო.³⁵ „და’ვასთვის“ თანდაყოლილი გამჭვირვალეობა მათი

³⁴. Al-Ghazali, Min Huna Na’lam (From Here we Know) (Giza, Egypt: Dar Nahdat Misr li al-Tiba’ah wa al-Nashr wa al-Tawzī’, 2005), p.95.

³⁵. Al-Ghazali, Ma’a Allah: Dirasat fa al-Da’wah wa al-Du’at (In the Company of God: A Study of Da’wah and Du’at) (Damascus: Dar al-Qalam, 2003), p.92.

ცხადი და ერთმნიშვნელოვანი გზავნილის სახით ვლინ-დება.³⁶ შუამავლები ყველანაირ ადამიანებს ხვდებოდნენ, მტერსაც და მოყვარესაც და მიუხედავად მათი პიროვ-ნებული თვისებებისა, საკუთარი რელიგიური გზავნილის მცირეოდენ ნაწილსაც კი არ უგულებელყოფდნენ.³⁷

„და‘ვა“ ღია და გამჭვირვალეა, თავისი ფუძემდებლური თუ მეორადი საკითხებით ის ცნობილია ყველასთვის, ზოგადად საზოგადოებისა თუ მასებისთვის, ასევე – ელიტისთვის. „და‘ვამ“ არ უნდა შენილბოს არცერთი ფა-რული კითხვა, არ უნდა მიჩქმალოს ზოგიერთი ასპექტი და სხვები კი – ნინ წამონიოს.³⁸ მეტიც, ალ-ღაზალის სწამდა რომ გზავნილის სიდიადე ვლინდება მის მიერ ინ-ტელექტის დაფასებაში, ვარაუდისა და ეჭვის სრულ უჯუგდებაში, სიცხადისა და ჭეშმარიტების დაცვაში. რე-ლიგიურობა, როგორც ასეთი, არ ტვირთავს ინტელექტს განუზომელი სიმძიმით და არც ძირავს მას წარმოსახვით სამყაროში.³⁹ სავარაუდოდ, ამ თეოლოგიურ მრწამსზე დამყარებით ცდილობდა ალ-ღაზალი „და‘ვას“ სულის-კვეთების დაკავშირებას მეცნიერული ლოგიკასთან რე-ლიგიური კვლევისა და განმარტების განვითარებას „და‘ვას“ სამეცნიერო შესწავლის ყალიბში მოქცევით. ზოგადად, ალ-ღაზალისთვის ხიდი რელიგიურობასა და მეცნიერებას შორის კრიტიკულად აუცილებელია, რად-გან რელიგია თავისი არსებობის აზრს კარგავს, თუ ივიწყებს მეცნიერებას, უგულებელყოფს საზრისს, ანდა

³⁶. Al-Ghazali, Min Maqalat, vol.3, p.81.

³⁷. Ibid.

³⁸. Al-Ghazali, Ma'a Allah, pp.18-19.

³⁹. Al-Ghazali, Qadha'if al-Haqq, p.81.

ენინააღმდეგება რელიგიის ამქვეყნიურ სამყაროსთან
შერწყმას.⁴⁰

აღ-ღაზალის დამოკიდებულება ისეთი საკითხების
მიმართ, როგორიცაა რწმენა და რელიგიურობა, ამასთა-
ნავე, ავლენს არსებულ მიზნებსა და შრეებს, რომელიც
საფუძვლად უდევს რელიგიური გზავნილის მისეულ
კონცეპტს, მაგალითად, საჭიროებას დაემოწმო გამოც-
ხადებას და წინ წამოსწიო ის, როგორც სიკეთის გავ-
რცელების, კეთილსინდისიერების მხარდაჭერის, რწმე-
ნის დაცვისა და გამოცხადების ღირსებათა მასაზრდოე-
ბელი წყარო.⁴¹ ამას ემატება დიადი აზრების იმ ერებამ-
დე მიტანა, ვისაც ეს ესაჭიროება. რელიგიური გზავნილი
ცდილობს სამართლიანობა და თავისუფლება მოუტა-
ნოს ჩაგრულ და ღატაკ ერებს, მისცეს საკუთარი თავის
რწმენა და ღვითისმოსაობა მოტივირებისა და წინამდლო-
ლობის საშუალებით,⁴² გამოაღვიძოს გულები, რომლებ-
მაც ღმერთი დაივიწყეს და აამოძრაოს გახევებული იდე-
ები.⁴³

რელიგიისა და რელიგიურობის ამ აღწერაზე დაყ-
რდნობით, აღ-ღაზალი გვიხატავს „და'ვას“, როგორც
ნაშობს რწმენის გაჩენით: ის რწმენის, რიტუალისა და
მორალის ტყუპისცალია.⁴⁴ „და'ვა“ მისთვის გზამკვლევია
სამყაროს უნეტარესი ჭეშმარიტებისკენ, სათნოებისკენ

⁴⁰. Al-Ghazali, Raka'iz al-'Iman, p.23.

⁴¹. Al-Ghazali, Sirr Ta'akhkhur al-'Arab wa al-Muslimin (The Causes of Backwardness of Arabs and Muslims) (Damascus: Dar al-Qalam, 2000), p.35.

⁴². Al-Ghazali, Haqiqat al-Qawmiyyah al-'Arabiyyah (The Reality of Arab Nationalism) (Giza: Nahdat Misr li al-Tiba'ah wa al-Nashr wa al-Tawzi', 2005), p.49.

⁴³. Al-Ghazali, Min Ma'alim al-Haqqa, p.148.

⁴⁴. Al-Ghazali, Al-Da'wah al-Islamiyyah Tastaqbil, p.7.

ორიენტაციის მიმცემია და განადგურებისგან სსნის გზაა.⁴⁵ ალ-ღაზალი ამტკიცებდა რომ „და'ვას“ ერთ ცალკეულ აქტივობამდე დაყვანა გაუმართლებელია.⁴⁶ შედეგად, ის აკრიტიკებს მათ, ვინც „და'ვას“ გულმხურვალე ქადაგებად, გადაჭარბებულ ემოციებად,⁴⁷ ჩვეულებრივ საუპრად, საპრძოლო მოწოდებად აღიქვამს, ან სულაც ვერ ხვდება, რომ ქადაგება მხოლოდ ერთი ცალკეული ასპექტია ბევრად უფრო ფართო რელიგიურ საქმიანობისა.⁴⁸ ამ შეხედულებიდან გამომდინარე, ალ-ღაზალი არ ამართლებდა იმ მიდგომას, რომ „და'იას“ (მქადაგებლის) ტიტული მხოლოდ მქადაგებლებს და იმამებს ენიჭებათ.⁴⁹ მისთვის „დუ'ათ“, აგრეთვე, სამართლიან მმართველს, კომპეტენტურ იურისტს ან კანონმდებლს, შთაგონებულ მწერლებს, რწმენით ალსავსე მქადაგებლებს და ყველას, ვინც წინ აღუდგებოდა უსამართლობასა და ტირანიას, მოიცავდა.⁵⁰ თითოეულ ინდივიდს აქვს უნარი წვლილი შეიტანოს, ცალკე ან კოლექტიურად, რელიგიურ, სოციალურ, კულტურულ თუ პოლიტიკურ ცხოვრებაში.⁵¹ „და'ვა“ რეფორმის სტრატეგიული ხელსაწყოა, რომელიც ყველა ტიპის მშრომელთა

⁴⁵. Al-Ghazali, Ma'a Allah, p.52.

⁴⁶. Ibid., p.157.

⁴⁷. Al-Ghazali, ‘Ilal wa Adwiyah (Diseases and Cures) (Damascus: Dar al Qalam, 2003), p.250.

⁴⁸. Ibid.

⁴⁹. Al-Ghazali, Ma'a Allah, p.171.

⁵⁰. Ibid.

⁵¹. Al-Ghazali, Huqq al-Insan bayna Ta'alim al-Islam wa I'lan Hay'at al-Ummah (Human Rights between the Teachings of Islam and the Declaration of the United Nation) (Giza, Egypt: Nahdat Misr li Tiba'ah wa al-Nashr wa al-Tawzi', 2004), p.218.

და მოხალისეთა ჩართულობას მოითხოვს. „და'ვას“ ალ-ლაზალისეული გაგება, ჩანს, რომ ჰოლისტურია და გა-მოხატავს ისლამური რეფორმის მისეულ ფართო აღქმას. მისი ფართო აღქმიდან გამომდინარეობს მჭიდრო კავშირი „და'ვასა“ და ცვლილების ცნებას შორის, რომლის თანახმადაც, „და'ვა“ გულისხმობს არა მხოლოდ რელი-გიური მოძღვრებების ტრანსმისიას ან მუსლიმური თე-მისთვის წმინდა წერილის განმარტებას, არამედ სოცია-ლური რეფორმის სფეროში მოღვაწეთა მიღწევების და-ფასებაც. „და'ვას“ ცნების მისეული განვრცობა, უფლე-ბამოსილება და მასშტაბი, რომ მოიცვას ვრცელი სოცი-ალური ცვლილება, ემყარება მის რწმენას, რომ ისლამუ-რი მიწერილობების ბუნება ყოვლისმომცველია და რომ რელიგიის გაგება არ უნდა იყოს დანაწევრებული.⁵²

„ფიტრა“

„ფიტრას“⁵³ კონცეპტი ცენტრალურ როლს ასრუ-ლებს ალ-ლაზალის თეზისში, რადგან მისი მეშვეობით იგი „და'ვას“ ღვთიური იდეალებისადმი ადამიანის თანდაყო-ლილი მიღრეკილებებისა და სწრაფვის კონტექსტში ათავ-სებს. ალ-ლაზალი დაუინებით ცდილობდა დაემყარებინა

⁵². Al-Ghazali, Min Maqalat, vol.3, p.90.

⁵³. ფიტრა, ან ფიტრათ (სრაბულად: თეჭ), „თანდაყოლოლი ბუნება, ბუნებრივი, ორიგინალი, სპეტაკი, სიტყვის ერთ-ერთი მნიშვნელობა გაჩენას ნიშნავს. ისლამის ტერმინოლოგიაში ეს სიტყვა იმ სპეტაკი ბუნების აღსანიშნავად გამოიყენება, რომელითაც ყველა ადამიანი იძალება. ყოველი ადამიანი სპეტაკი ბუნებით იძალება, რომელიც დაცლილია ყოველგვარი ბორიტი ზრახვებისა და მიღრეკილებებისგან, მას არ გააჩნია რომელიმე მხარის მიმართ მიკერძოებული დამრეკილებულება. ის იმ გარემოს მიხედვით ყალიბდება და ვითარდება, რომელშიც იზრდება. ტექსტში გამოყენებულია „ფიტრათ“.“

მჭიდრო კავშირი ერთი მხრივ, „და'ვასა“ და ადამიანის ბუნების მახასიათებლებს შორის, ხოლო მეორე მხრივ, ჩამო-ეყალიბებინა ჭეშმარიტი, მაგრამ ამასთანავე თანაზომიერი ბალანსი რელიგიურ განვითარებასა და მყარ „ფიტრას“ შორის. ძირითად დებულებას მაინც ის წარმოადგენს, რომ „და'ვა“ ქმნის მხარდამჭერ გარემოს ადამიანის ამაღლებისთვის სულიერი, მორალური და რელიგიური სრულყოფისკენ და, ამავე დროს, საბოლოო სახეს აძლევს ისედაც არსებულ ინტუიციურ ცოდნას ისე, რომ შესაძლოა არც კი დაუმატოს მას რამე სახის ახალი მოძღვრება.

ყველაზე საბაზისო დონეზე, ალ-ღაზალი ისლამს არსობრივად „ფიტრას“ რელიგიად მიიჩნევდა.⁵⁴ ალ-ღაზალის თანახმად, „ფიტრა“ საღი გონებისა და წრფელი გულისგან შედგება.⁵⁵ ის ამტკიცებდა რომ, როდესაც ტერმინი „ფიტრა“ „და'ვას“ კონტექსტში გამოიყენება, ის მხოლოდ მყარ „ფიტრას“ გულისხმობს.⁵⁶ მისი რწმენით, ადამიანები იბადებიან როგორც საღი განსჯის უნარით, რომელსაც ისინი შემოქმედთან მიჰყავს, ისე იმ ცნობიერებით, რომ გარყვნილება ბოროტებაა, სამარცხვინოა და ადამიანი მას უნდა ერიდოს.⁵⁷ ალ-ღაზალი ამტკიცებდა, რომ მორალურ ქმედებათა განსაზღვრება, საბოლოო ჯამში, გულისხმობს რაციონალური ფილოსოფიის უარყოფას ადამიანურ ქმედებათა შესახებ, რომელიც არ ითვალისწინებს გამოცხადებას და მხოლოდ შემთხვევით

⁵⁴. Ibid., vol.1, p.63.

⁵⁵. Al-Ghazali, Jaddid Hayatka (Damascus, Syria: Dar al-Qalam, 2004), p.59. Al-Ghazali, ‘Ilal wa Adwiyah (Damascus, Syria: Dar al-Qalam, 2003), p.121.

⁵⁶. Al-Ghazali, ‘Ilal wa Adwiyah (Damascus, Syria: Dar al-Qalam, 2003), p.121.

⁵⁷. Al-Ghazali, Jur’at Jadidah, vol.5, p.51.

მოწონებასა თუ გმობას იწვევს.⁵⁸ ამ პრინციპზე დაფუძნებით უკავშირებდა ალ-ღაზალი „და'ვას“ კარგის ცუდისგან გარჩევის კრიტერიუმს და, ამგვარად, ქმედებათა მორალური განსაზღვრებას „და'ვას“ აზროვნების თან-დაყოლილ თვისებად მიიჩნევდა.⁵⁹

ალ-ღაზალის თანახმად, უცდომელი მიღრეკილება ღმერთისაკენ და სრულქმნილი ზნეობა ადამიანს დაბადებისთანავე აქვს ჩაბეჭდილი. მისთვის, ბავშვი იბადება მზაობით განვითარდეს სრულყოფილი ზნეობით, მაგრამ ის იმ ხილს ჰგავს რომელიც მხოლოდ იმ შემთხვევაში დატკეპება, თუ სათანადო მზრუნველობით დაიცავენ სწეულების-გან.⁶⁰ ეს იმას გულისხმობს, რომ საკუთარი პირადი არჩევანის ანაბარა დარჩენილი ადამიანი უცილობლად შემოქმედის გზას დაადგებოდა; აღმოაჩენდა ლვთით შთავონებულ შინაგან მოტივაციას; მრუშმობას ქორწინებას ამჯობინებდა; იქნებოდა ფხიზელი და არა მთვრალი; იმოქმედებდა სულგრძელად და არა ეგოისტურად; გულწრფელად და არა ვერაგულად.⁶¹ სწორედ „ფიტრას“ მეშვეობით იგებს ადამიანი, რომ სამართალი კარგია; ბოროტება ცუდია; განათლება ღირსებაა; უმეცრება სამარცხვინოა; სისპეტაკე სრულქმნისაკენ სწრაფვაა და უზნეობა გარყვნილებაა. თუნდაც სულ მცირე ლვთიური ცოდნით, განმარტავს ალ-ღაზალი, „ფიტრას“ სიწმინდეს ხალხი ღმერთის შეცნობის-კენ და მისი უფლებების აღიარებისკენ მიჰყავს.⁶² ადამია-

⁵⁸. Al-Ghazali, Min Maqalat, vol.1, p.50.

⁵⁹. Al-Ghazali, Kayfa Nafham al-Islam? p.142.

⁶⁰. Al-Ghazali, Jur'at Jadidah, vol.5, p.51.

⁶¹. Al-Ghazali, Min Maqalat, vol.1, p.63.

⁶². Al-Ghazali, 'Ilal wa Adwiyah, p.59.

ნები მზადყოფნით, უპირატესობის მინიჭების უნარით და მისწრაფებებით იბადებიან, მისდიონ „ფიტრას“ გზას და გაითავისონ რწმენა და ღირსება. ღმერთი „ფიტრას“ ანიჭებს უნარს, წინ აღუდგნეს სიცრუეს.⁶³ ამ თვისებათა უგულებელყოფა იწვევს მარცხს და ამართლებს სამართლიან მსჯავრს განკითხვის დღეს. ამ მახასიათებლებში შედის ცრურწმენებისადმი წინააღმდეგობის და მათზე უარის თქმის უნარი; ჭეშმარიტების შეცნობა; უზნეობის უკუგდება და სათნო, ღვთისმოსავი ქცევა.⁶⁴

ალ-ღაზალის თანახმად, ნებისმიერი ცივილიზაცია, რომელიც „ფიტრასთან“ ახლოსაა, ასევე უახლოვდება ისლამის ბუნებას.⁶⁵ მეტიც – ის ამტკიცებდა, რომ თანამედროვე დასავლური ცივილიზაცია უფრო ახლოსაა „ფიტრასთან“, ვიდრე ის რელიგიური მოძღვრებები, რომლებიც ადამიანის სხეულს თრგუნავს და აკნინებს.⁶⁶ კერძოდ, დასავლეთის თანამედროვე ტრადიციები, განსაკუთრებით პოლიტიკის სფეროში, ახლოსაა ისლამის რელიგიასთან.⁶⁷ „ფიტრას“ ალ-ღაზალისეული გაგება სცდება ჩვეულებრივ რელიგიურ განსაზღვრებებს, რათა მიიჩნიოს უფრო უნივერსალურ ღირებულებები მყარი „ფიტრას“ ვალიდურ მაჩვენებლებად. ჭეშმარიტი რელიგია სწორ გზაზე მდგარი კაცობრიობაა, რაც გულისხმობს ინტელექტის მიერ ჭეშმარიტების დადგენას მეც-

⁶³. Al-Ghazali, Jaddid Hayatka, p.8.

⁶⁴. Al-Ghazali, Mi'at Sual (One Hundred Questions) (Cairo: Dar al-Muqattamli al-Nashr wa al-Tawzi', 2004), p.139.

⁶⁵. Al-Ghazali, Zalam min al-Gharb (Damascus: Dar al-Qalam, 1999), p.39.

⁶⁶. Al-Ghazali, Raka'iz al-Iman bayna al-'Aql wa al-Qalb (Foundations of Faith between the Intellect and Heart), p.82.

⁶⁷. Al-Ghazali, 'Ilal wa Adwiyah, p.120.

ნიერებაზე დაყრდნობით და მითებისა თუ ცრურნმენის უარყოფას.⁶⁸ „ფიტრას“ საკითხზე ალ-ლაზალის მსჯელობა აჩვენებს, რომ მან ჩამოაყალიბა თანაზომიერი კავშირი ჯანსაღ რელიგიურ ზრდასა და სოციალურ კეთილდღეობას შორის. მან სცადა მყარად ჩაესვა „ფიტრას“ კომპონენტი „და'ვას“ აზროვნების სისტემაში.

„და'ვას“ უნივერსალურობა

ალ-ლაზალის თანახმად, მუჰამმად შუამავლის („სადას“) გზავნილი ავითარებს უნივერსალურობის კონცეპტს, რომელიც ემყარება რწმენას – რელიგია ყველა დროში ერთი იყო და რომ შუამავლები უბრალოდ ძმები იყვნენ, რომლებიც ხალხს შემოქმედს წარუდგენდნენ და მათ მისკენ უძლვებოდნენ.⁶⁹ ალ-ლაზალი „და'ვას“ უნივერსალურობას უდგება არა მხოლოდ იმ ვრცელი გეოგრაფიული არეალის კონტექსტში, რომელშიც ის მოქმედებდა, არამედ ყურანისა და სუნას წინამძლოლობიდან და დანიშნულებიდან გამომდინარე, რომელიც ეხება მთლიანად კაცობრიობას, დროისა და სივრცის მიუხედავად.⁷⁰

ალ-ლაზალი ასევე ხაზს უსვამდა ფართო მოცულობის რეფორმისა და ჰუმანიტარული ძალისხმევის მნიშვნელობას. მსგავსი მიდგომა ცდილობს, გაარღვიოს ემოციური და კულტურული ბარიერები, რომელიც გარს ერტყმის უნივერსალურობას და გადოს კულტურების, ხალხებისა

⁶⁸. Al-Ghazali, Al-Ghazw al-Thaqafi, p.18.

⁶⁹. Al-Ghazali, Al-Da'wah al-Islamiyyah, p.168.

⁷⁰. Al-Ghazali, Sirr Ta'akhkhur, p.148.

და საზოგადოებების დამაკავშირებელი ხიდები. ალ-ლაზა-ლისთვის სიკეთის გავრცელება, ღვთისმოსაობის დაცვა და ბოროტებისადმი წინააღმდეგობის გაწევა უნივერსალური მოვალეობებია.⁷¹ ეს გულისხმობს, რომ სიკეთის გავრცელება და ბოროტების წინააღმდეგ ბრძოლა არა იმდენად ლოკალური ვალდებულებებია, რომლებიც მუს-ლიმებს აკისრიათ თავიანთ მმობლიურ საზოგადოებებში, რამდენადაც უნივერსალურ მოვალეობას წარმოადგენს. უნივერსალურობა „და’ვასთან“ მიმართებით მოითხოვს ჩვენს გარშემო არსებული სამყაროს შეცნობას, სხვადას-ხვა რელიგიური თემების ჩათვლით. ინტელექტუალური და ემოციური რეფორმებით დაკავებული მქადაგებლები უნდა გაეცნონ უნივერსალურ ადამიანურ აზროვნებას და ჩაწვდნენ ადამიანთა არსებობის პირობებს მათი გამოს-წორების მიზნით. ამრიგად, მუსლიმმა სწავლულებმა უნ-და გამოიკვლიონ უნივერსალური „და’ვას“ სტრატეგიები გარე სამყაროსათვის ისლამის წარსადგენად თუ ეჭვები-სათვის პასუხის გასაცემად.⁷² მაშასადამე, მუსლიმები და-დებითად უნდა განეწყონ სხვების მიმართ. მაგრამ მაკრო-დონეზე თუ ვიმსჯელებთ, „და’ვას“ უნივერსალურობა უკავშირდება მუსლიმური საზოგადოების მორალური და ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებას ისევე, რო-გორც შუამავალი მუჰამმადის („საბას“) მიმდევრები ემყა-რებოდნენ თავიანთ კეთილშობილურ თვისებებსა და და-მარნმუნებელ ენას რელიგიის სხვა ერებისთვის გაზიარე-ბისთვის.⁷³

⁷¹. Al-Ghazali, ‘Ilal wa Adwiyah, p.237.

⁷². Al-Ghazali, Sirr Ta’akhkhur, pp.94-95.

⁷³. Al-Ghazali, Al-Da’wah al-Islamiyyah, pp.145-174

ისლამის უნივერსალურობა, ალ-ღაზალისთვის, სამწერაოდ, ის გამოთქმაა, რომელსაც მუსლიმები გადაჭარბებულად ხშირად იმეორებენ, მაგრამ რომელსაც აღარ ითვალისწინებენ, როდესაც საქმე მის მიერ მოტანილ შედეგებს ეხება. თანამედროვე მუსლიმებს არ ძალუდთ ამ უნივერსალური გაებისთვის ხორციშესხმა მათი დაბნეულობის, შებდალული კულტურის, ტირანული პოლიტიკური სისტემების გამო. მუსლიმური საზოგადოებების ამჟამინდელი მდგომარეობა ეჭვსაც კი პადებს ისლამის ღირებულებასთან და იმასთან დაკავშირებით, თუ რამდენად შეიძლება მისგან ხალხმა სარგებელი მიიღოს.⁷⁴

ალ-ღაზალის მიერ მუსლიმების ამჟამინდელი მდგომარეობის შეფასებამ უბიძგა მას დაესვა შეკითხვა – რატომ ემსახურნენ ისინი „და’ვას“ უნივერსალურობას ასე სუსტად და რატომ გაავრცელეს ისლამის არასრული გაგება ადგილობრივ და საერთაშორისო სივრცეში. იგი ასკვნის, რომ ეს ნაწილობრივ განაპირობა ადრეული ხანის მუსლიმების გატაცებამ ბერძნული ფილოსოფიით, იმის ნაცვლად რომ დაყრდნობოდნენ და წინ წამოენიათ ისლამური მონოთეიზმი და ყურანისეული ფილოსოფია სხვადასხვა აკადემიურ დისციპლინებში, ეთიკასა და ბიზნესში.⁷⁵ პოლიტიკურმა სტაგნაციამ ასევე მოაკლო „და’ვას“ გავრცელებას ყოველივე აზრი ოფიციალური ისლამური მმართველობის მხრიდან, განსაკუთრებით იმ მმართველების გამო, როგორც ალ-ღაზალი მიიჩნევს,

⁷⁴. Al-Ghazali, Humum Da'iyah (Concerns of a Da'iyah) (Damascus: Dar al Qalam, 2000), p.3.

⁷⁵. Al-Ghazali, Al-Mahawir al-Khamsah li al-Qur'an al-Karim (The Five Themes of the Glorious Qur'an) (Damascus: Dar al-Qalam, 2000), p.57.

რომლებიც იმის ნაცვლად, რომ სწავლებისა და დამოძღვრის პროგრამებისთვის შეეწყოთ ხელი, კონტროლისა და ძალაუფლების სურვილს დაემორჩილნენ.

„და’ვა“ – საზოგადოება და კულტურა

ეკონომიკური პირობების გავლენასა და საზოგადოებრივ რეფორმებს ალ-ლაზალი „და’ვას“ განხორციელების უმთავრეს ელემენტებად თვლიდა. ალ-ლაზალის-თვის უდავოა სოციალური და კულტურული გარემოს ზემოქმედება რელიგიაზე, ისე როგორც ადამიანის პიროვნულ და მორალურ ქცევაზე.⁷⁶ შედეგად, სილრმისეული გავლენა მორალურსა და სოციალურ გარემოზე მის-თვის აუცილებელ წინაპირობას წარმოადგენდა რელიგიური გზავნილის წარმატებული გადაცემისთვის.⁷⁷ მისი აზრით, მორალური დანაშაულები და მანკიერებანი ხშირად სწორედ ეკონომიკური სირთულეების წინაშე მდგარ საზოგადოებებში წარმოიქმნება და ვითარდება.⁷⁸ ამის მიზეზი ისაა, რომ შერყვნილი გარემო „ფიტრას“ არსს ამახინჯებს, ასნეულებს მის ბუნებას. ადამიანები „რწმენის მდგომარეობაში“ იბადებიან და მზად არიან დაუკავშირდნენ რელიგიასა და მის მოძღვრებებს, როგორც კი მასზე ცოდნას მიიღებენ და უარყოფითი პრაქტიკის შედეგები მოისპობა.⁷⁹

აგრეთვე, ალ-ლაზალი ხედავს კაშშირს „და’ვასა“ და

⁷⁶. Al-Ghazali, Kayfa Nafham al-Islam?, p.15.

⁷⁷. Al-Ghazali, Al-Islam wa Awda’una al-Iqtisadiyyah (Islam and our Economic Conditions) (Damascus: Dar al-Qalam, 2000), pp.91-92.

⁷⁸. Al-Ghazali, ‘Aqidat al-Muslim (The Muslim Creed) (Dar al-Qalam, 1999), p.13.

⁷⁹. Al-Ghazali, Min Maqalat, vol.1, p.63.

სიღარიბეს შორის. იგი ამტკიცებს, პირველ რიგში, უნდა დაკმაყოფილდეს ადამიანის პირველადი მოთხოვნილებები და, მხოლოდ, ამის შემდეგ შეიძლება მისგან მრწამსის ერთგულება მოითხოვო. ⁸⁰ მქადაგებელთა მიმართ მისი კრიტიკა დიდწილად შეეხება იმას, თუ როგორ შეიძლება მიაღწიოს ეფექტურობას „და'ვამ“ სიღატაკის პირობებში. ალ-ღაზალი წერს, რომ მიუხედავად მრავალი მცდელობისა, „და'ვას“ ჯერაც არ უპოვია შესაბამისი გარემო ღარიბ ფენებში რწმენის, ზნეობისა და კეთილის საქმეების კეთების დამკვიდრების მიზნით. ⁸¹

ალ-ღაზალის თანახმად, შექმნილი სიტუაცია მქადაგებელთაგან მორალური და ეკონომიკური პრობლემების გადაჭრას მოითხოვს. ⁸² ვიდრე შესაძლებელი გახდება ხალხს შემოქმედისკენ გაუძღვე, საჭიროა მას-შტაბური ეკონომიკური რეფორმები, გარდაუვალი იმისათვის, რომ ისლამის სახელით ებრძოლო დანაშაულსა და მორალურ მანკიერებებს. ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესება ალ-ღაზალის „და'ვას“ საკვანძო ფაქტორად მიაჩნდა და მისი რწმენით, არსებობდა თანაზომიერი კავშირი მუსლიმური საზოგადოებების ეკონომიკური პირობების გაუმჯობესებასა და „და'ვას“ შორის. ⁸³ აქედან გამომდინარე, ალ-ღაზალი ასწავლიდა მქადაგებლებს, თუ როგორ უნდა ექციათ სოციალურ-ეკონომიკური კონტექსტი თავიანთი „და'ვას“ პრაქტიკისა და აზროვნების ნაწილად. იმავდროულად იგი მოუწოდებდა

⁸⁰. Al-Ghazali, Min Maqalat, vol.2, p.147.

⁸¹. Al-Ghazali, Al-Islam wa Awda'unā, p.61.

⁸². Al-Ghazali, Humum Da'iyah, p.129.

⁸³. Al-Ghazali, Sirr Ta'akhkhur, p.89.

ინსტიტუციებს გაეტარებინათ რეფორმების პროგრამები, რაც რელიგიური განათლების საკვანძო საშუალებაა და ზოგადად „და'ვასა“ და ისლამური რეფორმის განხორციელების წინაპირობას წარმოადგენდა.

ალ-ღაზალის აზრით, სამწუხაროდ, მუსლიმთა ცხოვრება კვლავაც შემაძრნუნებელი ტრადიციებით იმართება რელიგიის სახელით.⁸⁴ ამასთან, ისლამური მოძღვრებები ჩამოშორდა პოლიტიკურ, ეკონომიკურ და სოციალურ ცხოვრებას, ხოლო რელიგიური თაყვანისცემა დაიცალა სულიერებისგან და აზრსმოკლებულ რიტუალებად იქცა. ალ-ღაზალი ამტკიცებდა, რომ „და'ვა“ თავისსავე გზავნილს უქმნიდა რთულ პრობლემებს და იმ ისლამური პრინციპების გადმოცემით, რომლებიც მცდარი ელემენტებითაა შეკონინებული შუა საუკუნეებისა და თანამედროვე წყაროებიდან.⁸⁵ ამიტომ ალ-ღაზალი მოუწოდებდა მუსლიმებს, უარი ეთქვათ უმეცრების პირველ ხანაში (ალ-ჯაჰილია ალ-ულა) ფესვგადგმულ წეს-ჩვეულებებზე. მათ შორისაა სხვადასხვა ფორმით ქალთა ჩაგვრა, მაგალითად, მათთვის განათლების მიღების აკრძალვა, მათი მეჩეთებში არდაშვება, მათთვის სიკეთეზე გულის აცრუება და ბოროტის აკრძალვა და, ასევე, სასჯელის გაზრდა მათ მიერ ჩადენილ ნებისმიერ ცოდვაზე.⁸⁶ იგი თვლიდა, რომ ისლამის სწორად გააზრების ნაკლებობამ გამოიწვია ზოგიერთი მომთაბარული ტრადიციის ისლამურ იურისპრუდენციაში ინფლიტრაცია.

⁸⁴. Al-Ghazali, 'Ilal wa Adwiyah, p.120.

⁸⁵. Al-Ghazali, Sirr Ta'akhkhur, p.33.

⁸⁶. Ibid., p.32.

„და’ვა“ და თავისუფლება

ალ-ღაზალისთვის ინტელექტისა და ცნობიერების თავისუფლება რელიგიურობის საფუძვლებს წარმოადგენს;⁸⁷ ასევე გადამწყვეტი მნიშვნელობის მქონე გარემოა, რომელიც საშუალებას აძლევს რელიგიას იშვას, გაიზარდოს და განვითარდეს.⁸⁸ ალ-ღაზალის მიხედვით, ინტელექტუალური თავისუფლება ქმნის „და’ვას“ საფუძვლს და ის წარმოადგენს საკვანძო კრიტერიუმს ღვთიური ჯილდოსა თუ სასჯელისთვის. გამოხატვის თავისუფლება გულისხმობს კონსტრუქციულ კრიტიკას, ინტელექტუალურ პოზიციებს შორის შეჯიბრს საზრიანი დებატების საშუალებით და არა შეურაცხყოფისა თუ მუქარის გზით. ალ-ღაზალის თანახმად, რელიგიურმა გზავნილებმა აღჭურვა ინტელექტი საჭირო თავისუფლებით, რათა ისე ჩართულიყო სიღრმისეულ დიალოგში ხალხის რწმენის წინააღმდეგ იძულების ჩვენების გარეშე.⁸⁹ ისლამი, მაგალითად, ცდილობს დაამკვიდროს ტოლერანტული ატმოსფერო, თავისუფალი ნებისმიერი სახის დესპოტიზმისა და ჩაგვრისგან. ის მიზნად ისახავს მშვიდობიან გარემოში კეთილგანწყობით დაარწმუნოს სხვა.⁹⁰ ამგვარად, რწმენა არის ის, რაც ფესვგადგმულია აბსოლუტურ ინტელექტუალურ თავისუფლებაში და თან მისი შედეგიცაა. ამისათვის მას არ ესაჭიროება სასწაულები (რომელიც გონიეროვ შესაძლებლობებს აკნინებს), არც არავითარი

⁸⁷. Al-Ghazali, Al-Islam wa al-Istibdad al-Siyasi, p.92.

⁸⁸. Al-Ghazali, Qadha'if al-Haqq, p.235.

⁸⁹. Al-Ghazali, Al-Islam wa al-Istibdad al-Siyasi, p.87.

⁹⁰. Al-Ghazali, Mustaqbal al-Da'wah (The Future of Da'wah) (Cairo: Dar al Shuruq, 1997), p.15.

წნები ადამიანის ინტელექტსა და ნებაზე.

ალ-ღაზალი ჩამოთვლის დაახლოებით ას აიას ყურანიდან იმის დასამტკიცებლად, რომ რწმენა თავისუფალი აზროვნების, ნებისა და ცნობიერების უზენაესი შედეგია, ინტელექტისა და დარწმუნების უნარის საპოლოო ჯამია, რომელიც „დავას“ იძულებისგან განწმენდას მოითხოვს. ალ-ღაზალი შემდეგ გამოყოფს სხვადასხვა სახის თავისუფლებას, როგორიცაა სიტყვის თავისუფლება, ძირითადი მოთხოვნილებების დაკმაყოფილების თავისუფლება და დევნისგან თავისუფლება.⁹¹

ალ-ღაზალისთვის დარწმუნება და კამათი ძალაა, ხოლო შიში და ძალდატანება არაფერს წარმოადგენს.⁹² მხოლოდ ლოგიკა გვკარნახობს იმას, რომ როდესაც საქმე რელიგიას ეხება, ძალდატანების ნებისმიერი ფორმა დააფრთხობს ხალხს და იმის ნაცვლად, რომ მათში რწმენა დაამკვიდროს, მხოლოდ რელიგიურ ცდომილებებსა და უზუსტონებს წარმოქმნის. ადამიანები, რომლებსაც აიძულებენ აღიარონ რელიგია, რელიგიურებად არ ითვლებიან – მაშინაც კი, როდესაც იძულებული არიან, დაიცვან მკაცრი რელიგიური წესები.⁹³ ძალდატანება რელიგიაში აღიქმება, როგორც ინტელექტუალური შეურაცხყოფა და მას ზურგს არაფერი უმაგრებს შუამავალ მუჰამმადისა თუ მართლმორწმუნე ხალიფების ცხოვრებაში. ამრიგად, ალ-ღაზალი მოუწოდებს მქადაგებლებს გაუძლვნენ ხალხს და არ აქციონ სარგებლის

⁹¹. Al-Ghazali, Al-Sunnah al-Nabawiyyah bayna Ahl al-Fiqh wa-Ahl al-Hadith (The Sunnah of the Prophet between the Jurists and the Muhaddiths) (Cairo: Dar al-Shuruq, 2001), pp.74-75.

⁹². Al-Ghazali, Mi'at Su'al, p.296.

⁹³. Al-Ghazali, Zalam min al-Gharb, p.89.

დაგროვება ცხოვრების აზრად – ეს მათ, არც მეტი არც ნაკლები, ქურდებად აქცევს და არა მქადაგებლებად.⁹⁴

ალ-ღაზალის თანახმად, შუამავლები არიან ისეთი ძმები, რომელთა სულიერი უშუალობაც ხალხს აერთიანებს და მათ შორის თანამშრომლობისა და სიმპათიის გრძნობებს აღვიძებს, იმის ნაცვლად, რომ განაცალკევოს და მიმოფანტოს ისინი. იმ ათი პრინციპიდან რომელიც ალ-ღაზალიმ ჩამოაყალიბა, ოთხი მთლიანად ეძღვნება „დავასა“ და რელიგიურ თანამშრომლობას, ხოლო მერვე პრინციპი ყურადღებას ამახვილებს რელიგიურ განსხვავებებსა და იმაზე, თუ როგორ უნდა აღვუდგეთ წინ მტრობასა და შუღლს.⁹⁵ ალ-ღაზალის რწმენით, კაცობრიობა ერთი ოჯახია, რომელიც საერთო წყაროდან იღებს სათავეს და მათ შორის არცერთს არა აქვს უპირატესობა შესაქმისთან თუ ცხოვრებასთან დაკავშირებით.⁹⁶

საბოლოო ჯამში, ალ-ღაზალის ნაშრომები აცალკევებს „და'ვას“ ჩაგვრის, ტირანიისა და ექსპლუატაციის ყველა სახეობისგან. მქადაგებელიც და მსმენელიც თანაბარი თავისუფლებით სარგებლობენ. თავისუფლების პერსპექტივა ალ-ღაზალის ნაშრომებში სცდება მისსავე სოციალურ-პოლიტიკურ გამოცდილებას და დიდწილად დამოკიდებულია რწმენასა და არჩევანზე. მისი პერსპექტივა წარმოდგება, როგორც ორიგინალური, ჰუმანისტური, რეალისტური და, რა თქმა უნდა, რელიგიური. ალ-

⁹⁴. Al-Ghazali, Mi'at Su'al, p.296.

⁹⁵. Al-Ghazali, Hadha Dinuna (This is our Religion) (Damascus: Dar al-Qalam, 1999), p.55.

⁹⁶. Al-Ghazali, Huquq al-Insan, p.14.

ლაზალის ნაშრომებში „დავა“ ნაჩვენებია, როგორც
ცვლილების ღია და შემწყნარებლური პროცესი, რომე-
ლიც დიდ ყურადღებას აქცევს ადამიანის გრძნობასა და
ინტელექტს. ის რაციონალურად გადმოსცემს იმის ღი-
რებულებებს, რასაც ალ-ლაზალი ბუნებრივ რელიგიას
(ალ-დინ ალ-ტაბი'ი) უწოდებს, ისე რომ წინააღმდეგობა-
ში არ მოდის უნივერსალურ ღირებულებებთან.

მესამე თავი ისლამის მქადაგებლები

ამ თავში განვიხილავთ ალ-ღაზალის ხედვას მქადა-
გებელთა პასუხისმგებლობებზე, მათ სულიერ, მორა-
ლურ და საგანმანათლებლო კვალიფიკაციებზე, აგრეთვე
– „და’ვასთან“ დაკავშირებულ იმ სირთულეებსა და გა-
მოწვევებზე, რომელიც მათ ხვდებათ. ნაშრომში, აგრეთ-
ვე, განხილულია ალ-ღაზალის მიერ მათი შეხედულებე-
ბის კრიტიკა. ეს დაგვეხმარება „და’ვას“ საქმიანობის
ბუნებისა და შედეგების უკეთ გააზრებაში, ასევე ალ-ღა-
ზალის მოდელის მნიშვნელობის გაგებაში მქადაგებელ-
თათვის სულიერი და ზნეობრივი მახასიათებლების მინი-
ჭების თვალსაზრისით. ეს ასევე საშუალებას გვაძლევს
ამოვიცნოთ ის მიზეზები, რომელთა გამოც ალ-ღაზალი
მსგავს კვალიფიკაციებს სავალდებულოდ მიიჩნევდა
„და’ვას“ პრაქტიკული განხორციელებისთვის და რომელ-
თა გარეშეც მქადაგებელთა მოღვაწეობა უცილობლად
წარუმატებელი იქნებოდა. ამ კვალიფიკაციათა განხილვა
გამოკვეთს ასევე ალ-ღაზალის დამოკიდებულებას მქა-
დაგებელთა საგანმანათლებლო სტანდარტების ამჟამინ-
დელი ცნებებისა და „და’ვას“ პრაქტიკისათვის საჭირო
სხვა წინაპირობებთან მიმართებით.

მქადაგებლების მოვალეობები

ალ-ღაზალის თანახმად, ისლამი არსობრივადაა და-
კავშირებული „და’ვასთან“. ის უბიძგებს მუსლიმებს ის-

წავლონ და ასწავლონ, დარწმუნდნენ თავად და სხვებიც დაარწმუნონ.⁹⁷ ისლამი შემოქმედის დაწვრილებით ცოდნას გასცემს; არწმუნებს მათ, ვინც ეჭვობს და ყველას ღვთისმოსაობით აღავსებს. მისი მიზანი ასევეა, შეცვალოს ადამიანის თვითობა და საზოგადოება, წინ აღუდგეს გარყვნილებასა და უსამართლობას, განერიფოს ნეგატიურ წეს-ჩვეულებებსა და კანონებს და ჩაანაცვლოს ისინი ღირსეული ტრადიციებითა და პრაქტიკებით. ასეთია რელიგიური გზავნილი. მაშასადამე, „დავას“ მიზანია ქმედითი ადამიანური განვითარება და მუსლიმთა მობილიზება ენთუზიაზმით აღვსილი რწმენით, თავგამოდებული ლოცვით, გულწრფელობითა და ღმერთისა და მისი შუამავლების სიყვარულით, სულიერი ბრწყინვალებით ამქვეყნიურ ცხოვრებაში.⁹⁸

ყურანის თანახმად, მქადაგებლებმა მუდმივად უნდა წარმოთქვან მისი აიები, მიაღწიონ სულიერ განწმენდასა და ასწავლონ ხალხს. ეს მოვალეობები, რომლისკენაც შუამავლები მოუწოდებდნენ მორწმუნებს, „დავას“ არსებით კომპონენტებს წარმოადგენს. ამასთანავე, უფრო უშუალოდ, მქადაგებელთა პირველადი სამუშაო სფერო საკუთარი თავი და ჯგუფებია. სანიმუშო მაგალითის მიცემით, ისინი მისაბაძი ფიგურის როლს ითავსებენ და სხვებს შთააგონებენ რწმენას, იმავდროულად კი განათლებას აძლევენ მუსლიმებსაც და არამუსლიმებსაც რელიგიისა და გამოცხადების სფეროში, ცდიან რა მათ კავშირს ყურანთან. მქადაგებლები ადასტურებენ

⁹⁷. Al-Ghazali, Al-Sunnah al-Nabawiyyah, pp.129-130.

⁹⁸. Al-Ghazali, Hasad al-Ghurur (The Harvest of Pride) (Damascus: Dar al Qalam, 2003), p.107.

ჭეშმარიტებას და არ მალავენ მას, ხელუხლებლად გად-
მოსცემენ რწმენის გზავნილს, თავისუფალს მატერიალუ-
რი სამყაროს ზემოქმედებისგან. სოციალურ დონეზე,
არაერთი ყურანისეული გადმოცემის თანახმად, მქადა-
გებელი „და’ვას“ განწმენდს სურვილისა და სიხარბისგან,
ავრცელებს ისლამურ გზავნილს მატერიალურ გამორჩე-
ნაზე ფიქრის გარეშე.

მქადაგებლის მოვალეობა ასევე გულისხმობს მის
პირად და სოციალურ განვითარებას და უნარს, ერ-
თდროულად მიმართოს რელიგიურ და ამქვეყნიურ სამ-
ყაროებს. ეს პასუხისმგებლობები მხოლოდ რელიგიის
მასწავლებლების, მოძღვრებისა თუ სწავლულების ტრა-
დიციულ მოვალეობებს არ გამოხატავს, არამედ შლის
„და’ვას“ ახალ პერსპექტივას, რომლითაც მქადაგებლები
ისლამურ რეფორმას ემსახურებიან და ცვლილებების
პოზიტიური წარმომადგენლების სახით მოქმედებენ. ეს
აჩვენებს, თუ რამდენად მოქმედებდა ალ-ღაზალის მიერ
„და’ვას“ ფართო გააზრება მქადაგებლის ვალდებულებე-
ბის მისეულ გაგებაზე. მაგრამ ვალდებულებათა ესოდენ
ფართო სპექტრი მქადაგებლის მოვალეობას რთულსა და
მრავალშრიანს, გამოწვევებით აღსავსეს ხდის და მათი
წინსვლისა და ლვანლის გაგებას გარკვეულწილად არ-
თულებს. ეს მოვალეობები ასევე გამოხატავს დახვენილ
გადასვლას „და’ვას“ პასუხისმგებლობების მოქნილ და
დინამიკურ სტილზე. ეს აფართოებს მქადაგებლის ყუ-
რადლებას, „და’ვას“ გადამწყვეტ საშუალებად აქცევს და
ამცირებს განსხვავებას ისლამურ რეფორმასა და
„და’ვას“ შორის.

ამასთან ერთად, ალ-ღაზალიმ ჩამოაყალიბა მოვა-

ლეობები ინდივიდებისა და ჯგუფებისთვის, რომლებიც მშვიდობიან და პოზიტიურ ისლამურ რეფორმებში, ასევე ლოკალური თუ გლობალური ცხოვრების გაუმჯობესების მიზნით წარმართულ აქტივობებში მონაწილეობენ. ეს შეეხება მოძღვრებს, თეოლოგებსა და ისლამის რეფორმატორული მოძრაობების წევრებს. მაგრამ მისი კრიტიკის უმეტესი ნაწილი იმ მქადაგებლებს ეხება, რომლებიც რელიგიურ მოძღვრებად და სწავლულებად ითვლებიან. ალ-ლაზალი ორივე კატეგორიას ითვალისწინებს, მაგრამ თითოეულის პასუხიმგებლობებს ერთმანეთისგან არ მიჯნავს.

მქადაგებლის სულიერი და მორალური კვალიფიკაციები

ალ-ლაზალის სწამდა, რომ მქადაგებლებს ყველაზე მეტად ესაჭიროებათ თვითდისციპლინა,⁹⁹ ასევე ისინი რელიგიური და მორალური ღირსებებით უფრო მაღალი დონეზე უნდა იდგნენ, ვიდრე დანარჩენი საზოგადოება. მაგალითად, მქადაგებელმა რწმენის, სიმტკიცის, მონდომებისა და სიქველის უმაღლეს საფეხურს უნდა მიაღწიოს. ეს მქადაგებლებისგან მოითხოვს, რომ მათ ყურადღება მიაქციოს საკუთარ ზნეობრივ თუ სულიერ მდგომარეობას, თავად დაუსვან საკუთარ თავს სწორი დიაგნოზი, რათა განიკურნონ ნებისმიერი ნაკლისა თუ სულიერი სნეულებისგან. ასევე, არ უნდა ირწმუნონ, რომ მათი ქადაგებები მხოლოდ მათ მსმენელს ეხება და არა თავად მათ.

⁹⁹. Al-Ghazali, Ma'a Allah, p.186.

ალ-ღაზალისთვის სიხარბე და მატერიალიზმი შეუ-
თავსებელია „და’ვასთან“. მქადაგებლები არ უნდა ეძი-
ებდნენ მატერიალურ საზღაურს თავიანთი შრომის-
თვის.¹⁰⁰ ალ-ღაზალისთვის ეს უანგარო თავგანწირვა,
რომელიც მქადაგებელთა საქმიანობაში გვხვდება, შემ-
თხვევითი არაა, რადგან მქადაგებლის მორალური ხასია-
თის საფუძველი ღმერთთან მის სულიერ კავშირშია. თა-
ვის მოწოდებაში მქადაგებელი ღვთის დაკმაყოფილებას
ეძიებს და არ ეძლევა თვითკმაყოფილებას. მათი გან-
ზრახვა მუდმივად იმაზე ფოკუსირება უნდა იყოს, რომ
რასაც აკეთებენ, ღმერთისთვისაა და ეს შეუძლებელია
გაკეთდეს წრფელი გულისა და ღვთაებრივთან პოზიტი-
ური კავშირის გარეშე. წარმატებული მქადაგებლები
ისინი არიან, ვინც ადამიანებს მაგალითის მიცემით უძ-
ლვებიან, თავად იქცევიან მისაბად ნიმუშებად, გამოხატა-
ვენ სამოციქულო ხასიათს თავიანთ თაყვანისცემაში
ღვთის მიმართ, ქცევასა და ბრძოლაში.¹⁰¹ საერთო ჯამ-
ში, მქადაგებლებმა უნდა უერთგულონ ისლამის მოძ-
ლვრებებს „და’ვასთან“ მიდგომის თვალსაზრისით, მათ
ზურგი უნდა შეაქციოს სიცრუეს და, ამავე დროს, შეალ-
ნიონ ადამიანთა გულებში.¹⁰²

ამასთანავე, მქადაგებელი უნდა ვითარდებოდეს
მორალური და აკადემიური თვალსაზრისით, რადგან
არაა მოსალოდნელი, რომ წინწასულმა საზოგადოებებმა
ყურადღება მიაქციონ დაბალი დონის მქადაგებელთ,
რომლებმაც წარუმატებლობა განიცადეს ინტელექტუა-

^{100.} Al-Ghazali, Min Huna Naçlam, p.95.

^{101.} Al-Ghazali, Al-Da’wah al-Islamiyyah, p.144.

^{102.} Al-Ghazali, Sirr Ta’akhkhur, p.40.

ლური, სამეცნიერო და მორალური წინამძღოლობის სფეროებში. მქადაგებლებმა უნდა გაიზიარონ გასაჭირში მყოფთა ვარამი, უსურვონ მათ ჯანმრთელობა და გამოკეთება, მხარი დაუჭირონ მათ მარცხის უამს, იზრუნონ მათ სადარდებელზე, დაიცვან ისინი უსამართლობისგან, შეუერთდნენ ღირსებაშელახული და ჩაგრული ხალხის ჯგუფებს. მქადაგებელთა დანიშნულებაა დაუკავშირდნენ ხალხს, არ გაემიჯნონ მათ და ახარონ მათ კარგი ამბები, იმის ნაცვლად რომ ისინი ერთმანეთს დააშორონ. ამ ყველაფერში მქადაგებლები პირად უთანხმოებებზე ზემოთ უნდა დადგნენ და არ დაგმონ ხალხი.¹⁰³

საბოლოო ჯამში, მქადაგებლის მთავარი საზრუნავი ხალხის განათლება, ჭეშმარიტ გზაზე დაყენება, აგრეთვე მათში იმედის გაღვივებაა იქამდე, სანამ შემოქმედის გზას არ დაუბრუნდებიან. მქადაგებლები შთააგონებენ სხვებს და სიკეთეს უსურვებენ მათ, კმაყოფილები არიან თუ „და'ვას“ მიზნები მიღწეულია და ერიდებიან სასოწარკვეთას, განსაკუთრებით მაშინ, როცა არსებული პირობები ხელს არ უწყობს „და'ვას“. ¹⁰⁴

მქადაგებლის საგანმანათლებლო კვალიფიკაციები

ალ-ლაზალის სწამდა, რომ ყურანთან შესატყვისი ერთა ღვთიური შერჩევა კაცობრიობისათვის სასარგებ-

¹⁰³. Al-Ghazali, Jihad al-Da'wah bayna 'Ajz al-Dakhil wa Kayd al-Kharij (The Struggle of Da'wah between Internal Deficiencies and External Adversity) (Beirut: Al-Dar al-Shamiyah, 1999), p.64.

¹⁰⁴. Al-Ghazali, Mushkilat fi Tariq al-Hayat al-Islamiyyah (Problems on the Way to the Islamic Life) (Cairo: Nahdat Misr li al-Ziba'ah wa al-Nashr wa alTawzi', 2003), p.137.

ლო მათ ინტელექტუალურ და მორალურ ლირსებებზე და არა რაიმე ეთნიკურ თუ გეოგრაფიულ მოცემულობებზე იყო დაფუძნებული.¹⁰⁵ ალ-ღაზალის აზრით, მქადაგებელთა წარმატებას მისი სიღრმისეული და მრავალ-მხრივი განათლება განსაზღვრავს. მქადაგებლებმა ყველა სახის ლიტერატურასა და მიმართულებას უნდა გაეცნოს, რაც კი ადამიანურ აზროვნებას ახასიათებს, იმისათვის, რომ შეიმეცნოს ცხოვრება და მისი გარემომცველი გავლენები.¹⁰⁶ მათ უნდა იკითხონ რწმენის, ათეიზმის, ფილოსოფიისა და სუნას შესახებ, თავი უნდა აარიდონ დაღმასვლის პერიოდში შექმნილი მასალების კითხვას. ალ-ღაზალის თანახმად, „და’ვა“ ასევე ყურანისა და სუნას ცოდნას მოითხოვს. თანაბრად მნიშვნელოვანია მქადაგებლისთვის, რომ მუსლიმ ხალიფთა ისტორია ესმოდეს და თან ამომწურავად შეისწავლოს თანამედროვე პირობები.¹⁰⁷

ალ-ღაზალი ხაზს უსვამს არაბული ენისა და ლიტერატურის როლს, როგორც ეფექტური „და’ვას“ წინაპირობას. არაბულის სწავლა ხალხს ეხმარება მუსლიმთა შესახებ ცოდნის მოპოვებაში, გამოცხადების შესამეცნებლად განაწყობს მათ და ხელს უწყობს რწმენის ტრანსმისიას. მქადაგებლის ინტელექტუალური ფორმირება ასევე მოიცავს ჰუმანიტარული მეცნიერებების შესწავლას ეთიკის, სოციალური და პოლიტიკური ფილოსოფიის ჩათვლით. ისინი ასევე უნდა ჩაწვდნენ აზროვნების თანამედროვე მიმართულებების არსა. ქმედითი „და’ვა“

^{105.} Al-Ghazali, Hasad al-Ghurur, p.21.

^{106.} Al-Ghazali, Min Maqalat, vol.3, p.165.

^{107.} Ghazali, Maṣāḥa Allāh, p.193.

მოითხოვს სოციოლოგიის, ეკონომიკის, განათლებისა და ფსიქოლოგიის ცოდნას. შესაბამისად, მქადაგებლები ჰუ-მანიტარულ მეცნიერებებს ისლამური პერსპექტივიდან უნდა მიუდგნენ.¹⁰⁸ ბოლოს, ინტელექტუალური ფორმი-რების გზაზე, მქადაგებელი უნდა დაეუფლოს საბუნე-ბისმეტყველო მეცნიერებებს. მას უნდა ესმოდეს ფიზი-კური მეცნიერებები, მათ შორის, ქიმია, ბიოლოგია და ასტრონომია, უნდა გაეცნოს გეოგრაფიას, ბოტანიკასა და ზოოლოგიას.¹⁰⁹ ჩამოთვლილი მეცნიერებები უმნიშ-ვნელოვანესია ალ-ღაზალის აზრით, რადგან ისინი ეხმა-რება მქადაგებლებს თავიანთი წარმოდგენების შესწორე-ბაში, ფიზიკურ სამყაროსთან მათ ურთიერთმიმართება-ში და მათვის წარმოადგენს დაწვრილებითი ხასიათის მქონე სახელმძღვანელოებს.¹¹⁰

საერთო ჯამში, ალ-ღაზალი ცდილობს ჩამოაყალი-ბოს „და’ვას“ ამბიციური მოდელი, რომლის თანახმადაც მქადაგებლები გამორჩეულად განსწავლული პიროვნებე-ბი უნდა იყვნენ, დახელოვნებულები აკადემიური კვლე-ვის სხვადასხვა სფეროებში. ამასთანავე, მისი მოდელი მოითხოვს სოციალურად გამოცდილ, ენციკლოპედიური გონების მქონე მქადაგებლებს, რომლებსაც შეუძლიათ მულტიდისციპლინარული მიდგომა გამოიყენონ კვლევის სფეროებში – რაციონალური თუ ტრადიციული, მორა-ლური თუ ფიზიკური.¹¹¹

^{108.} Ibid., pp.216-217.

^{109.} Ibid., p.215.

^{110.} Al-Ghazali, Mushkilat, p.117.

^{111.} Al-Ghazali, Sirr Ta’akhkhur, p.95.

მქადაგებელთა პრობლემები

ალ-ღაზალიმ გამოკვეთა მრავალი პრობლემა და გამოწვევა, რომელთაც „დავაზე“ ჰქონდათ გავლენა. მათში შედის კულტურისა და წეს-ჩვეულებების საკითხები; მქადაგებლები, რომლებიც ვერ ჩაითვლებიან როლურ მოდელებად რელიგიური საქმიანობის არადამაკმაყოფლებლად განხორციელების გამო; ქალთა დაბალი სტატუსი; სუსტი საგანმანათლებლო სისტემა; „დავას“ შეუსაბამო ინსტიტუციები; მქადაგებელთა მოღვაწეობა; მუსლიმთა მცდარი შეხედულებები ამქვეყნიურ ცხოვრებაზე; სამართლებრივი განსხვავებები; ყურანის ნაწილების ამოღება (ალ-ნასხ ფი ალ-კურან); მარცხი ამქვეყნიურ ცხოვრებაში და გავლენიანი უცხო კულტურები. ალ-ღაზალისთვის, ყველა მათგანი ქმნის მწვავე გამოწვევებს, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც „დავა“ გონივრულ და მრავალმხრივ მიღვომას მოითხოვს, არსებული მდგომარეობა კი, რომლის წინაშეც მუსლიმები აღმოჩნდნენ, არის კიდევ ერთი დასტური შემზარავი ეკონომიკურ და სამეცნიერო დეგრადაციისა.¹¹²

ალ-ღაზალის აზრით, ინტელექტუალურმა და სექტარიანულმა განსხვავებებმა ლრმა ნაპრალი შექმნეს მუსლიმებს შორის, რამაც გამოიწვია ადგილობრივ და საერთაშორისო დონეზე პასუხისმგებლობების უგულებელყოფა. ეს გულგრილობა, თავის მხრივ, გამოწვეულია მუსლიმთა მიერ რელიგიურობის მხოლოდ გარეგნულად გამოხატვით და არა მათი თანდაყოლილი შინაგანი რწმე-

^{112.} Al-Ghazali, Min Maqalat, vol.3, p.28.

ნით.¹¹³ აქედან გამომდინარეობს დაკანინების შესაბამისი მიზეზები, იქნება ეს ინტელექტუალური, სოციალური თუ პოლიტიკური ხასიათის და ასევე კულტურული გავლენები, რომელიც თრგუნავს მუსლიმურ ხასიათს. უმეცრების ხანგრძლივმა მდგომარეობამაც გამოიწვია „და'ვას“ კვლევის და განვითარების შეჩერება, რამაც შესაძლებელი გახადა შერყვნილი კულტურებისა და გზააბნეული პოლიტიკური მოძრაობების წინწამონევა, რამაც „და'ვას“ საფრთხე შეუქმნა. ამის შედეგად, ისლამის უნივერსალური გზავნილი თანდათანობით დაკანინდა.¹¹⁴

ალ-ღაზალის თანახმად, მუსლიმებმა უნდა აჩვენონ იდეალური მაგალითები, რომლებიც ასახავს ისლამის გზავნილს და იმოქმედონ, როგორც საღვთო მოძღვრებათა და ზეგადმოვლენილ ღირებულებებათა ჭეშმარიტი მიმღებებმა. ალ-ღაზალი ამტკიცებს, რომ გზავნილის მიმღებმა ერმა შესაბამისად უნდა ჩამოაყალიბოს თავისი ცხოვრების სისტემა.¹¹⁵ ამის წყალობით, მუსლიმთა სიქველე თანდათან ხილული გახდება, გასცდება მათ საზღვრებს და მთელ მსოფლიოს მისწვდება. მაგალითს შეიძლება ასევე წარმოადგენდეს მუსლიმური მთავრობები, რომლებიც სხვადასხვა ინსტიტუციების საშუალებით უნდა ზრუნავდნენ საკუთარ მოქალაქეებზე, იცავდნენ სამართლიანობას, მხარს უჭერდნენ მშვიდობას და ემიჯნებოდნენ მატერიალურ სურვილებს. ალ-ღაზალის რწმენით, იმისათვის, რომ ისლამმა გამართულად იმოქმედოს და სანიმუშო გამოდგეს, მუსლიმთა დიდ პროცენტს გა-

¹¹³. Ibid., p.100.

¹¹⁴. Al-Ghazali, Mustaqbal al-Islam, pp.163-164.

¹¹⁵. Al-Ghazali, Kayfa Nafham al-Islam?, pp.79-80

ნათლება ესაჭიროება.¹¹⁶ „და’ვა“ ვერ მიაღწევს წარმატებას, თუ მუსლიმები დამარცხდებიან ეკონომიკური და სოციალური განვითარების საკვანძო სფეროებში ან მოისაკლისებენ ცხოვრებისა და მისი მეცნიერებების სათანადო გააზრების უნარს. მაშასადამე, რწმენა ვერ იზეომებს მანამ, სანამ მუსლიმთა ინტელექტუალური და ეკონომიკური მდგომარეობა სავალალოა.

ალ-ღაზალის აზრით, მუსლიმთა ამჟამინდელი სოციალური მდგომარეობა არა მხოლოდ აფერხებს „და’ვას“ პროგრესს, არამედ იმის ეჭვსაც კი ბადებს, თუ რამდენად ღირებულია ისლამი და რამდენად მიიღებს სარგებელს მისგან კაცობრიობა.¹¹⁷ მისი შეხედულებით, მუსლიმთა წარმოდგენებს და სოციალურ დეზინტეგრაციას იოლად შეუძლია ხალხი რწმენის გზას გადაახვევინოს. ამჟამად, არც მუსლიმებს და არც მათ რელიგიურ ლიდერებს არ ძალუდთ სხვების გაძლოლა. ალ-ღაზალის თანახმად, მუსლიმებმა ისლამის ღირებულებებსა და მოძღვრებებს ხორცი ვერ შეასხეს, ვერც ასევე „და’ვას“ სტრატეგიების ფორმულირებასა და რელიგიური წარდგინების მეთოდების განვითარებას შეუწყვეს ხელი.¹¹⁸ იმის ნაცვლად, რომ საფუძველი გაემყარებინა რელიგიური ცოდნისა და მორალური ლვანლისთვის და ამის შედეგად ჩამოეყალიბებინა ხალხი, რომელსაც ექნებოდა გზავნილის აღსრულების უნარი, მუსლიმურმა კულტურამ („საკანფა“), ალ-ღაზალის მიხედვით, კარჩაკეტილო-

¹¹⁶. Al-Ghazali, Raka’iz al-Iman, p.159.

¹¹⁷. Al-Ghazali, Humum Da’iyah, p.3.

¹¹⁸. Al-Ghazali, Kayfa Nafham al-Islam?, p.25.

ბამდე და ოზოლაციამდე მიიყვანა ინტელექტი. ¹¹⁹ მისი თვალთახედვით, წეს-ჩვეულებათა უმეტესობა საფუძველს მოკლებულია და დაკნინების პერიოდებშია წარმოქმნილი.

ალ-ღაზალი ასევე განიხილავდა მთელ რიგ საკითხებს, რომელებიც ერთობლივად მნიშვნელოვან პრობლემებს ქმნიდნენ „და’ვასთვის“. პირველი – მან თვალი გადაავლო მუსლიმურ ისტორიას და განაცხადა, რომ მავნე რელიგიურმა პრაქტიკებმა მნიშვნელოვნად შეაფერხა „და’ვას“ პროგრესი. მეორე – კონფლიქტმა ამქვეყნიურ ცხოვრებასა და საიქიოს შორის ფატალური დანაკარგი მოუტანა „და’ვას“ და საფუძველი ჩაუყარა ორ უმთავრეს უსამართლობას: ადამიანების ცხოვრებისადმი მიჯაჭულობის გაების ან მხარდაჭერის უუნარობასა და ღვთიური წინამძღვრობისა თუ რელიგიური მიწერილობების დაცვის უუნარობას. მესამე მქადაგებელთა მიერ გაუქმების (ან-ნასხის) არასწორი გააზრებაა. ალ-ღაზალი უარყოფითად აღიქვამდა გაუქმებას და თვლიდა, რომ ის ზიანს აყენებდა „და’ვას“ და მის ბუნების მშვენიერებას. მეოთხეა მქადაგებელთა გატაცება, მონუსხვაც კი, ტრივიალური კონფლიქტებით, დაბოლოს, „და’ვას“ ინსტიტუციის არარსებობა, რომელიც გამოაცოცხლებდა სიქველეს, კარს გაუხსნიდა ახალ ინტელექტუალურ სფეროებს და თვალს მიადევნებდა „„და’ვას“ შინაგან და გარეგან პროგრესს, მიღწევებსა და მარცხებს.¹²⁰

როგორც ინტელექტუალურ განვითარებაზე აქცენ-

¹¹⁹. Al-Ghazali, Min Maqalat, 2, p.1.

¹²⁰. Al-Ghazali, Al-Da;wah al-Islamiyyah, p.90.

ტირება მიანიშნებს, ალ-ღაზალიმ „და'ვას“ გაუმჯობესების შესახებ დისკუსია ისლამური განათლების ჩარჩოებში მოაქცია. იგი ცდილობდა „„და'ვას“ დაკნინებული მდგომარეობის გამოსწორებას და ისლამური კულტურის წარმატებულ გავრცელებას იმგვარად, რომ მას „და'ვას“ კონცეპტები გაეძლიერებინა და „და'ვა“ შერწყმოდა რეალობის დროისა და სივრცის კომპონენტებს. ქადაგების პრობლემების ნებისმიერი გადაჭრა, ალ-ღაზალის შეხედულებით, მთლიანად საზოგადოების არსებობის საერთო პირობების გაუმჯობესებაში შეტანილი წვლილი იქნებოდა.

მქადაგებელთა კრიტიკა

ქადაგების ალ-ღაზალისეული კრიტიკა სპეციფიკურ ინდივიდებსა თუ ჯგუფებზე კონცენტრირდება. სწორედ ამ მიდგომის საფუძველზე შესძლო მან საერთო პრობლემების ამსახველი კრიტიკის შემუშავება. თუმცა, უნდა ითქვას, რომ ალ-ღაზალის მიდგომა და ტონი ნაკლებ პროვოკაციული და მეტად კონსტრუქციული რომ ყოფილიყო, შესაძლოა, მისი კრიტიკა უფრო გამოსადევი აღმოჩენილიყო. ალ-ღაზალის კრიტიკიზმი წარმატებული იყო გარკვეულ დონეზე იმდენად, რამდენადაც მან შექმნა ან გამოაშვარავა „და'ვას“ ამჟამინდელი დისკურსი, მასთან დაკავშირებული სხვადასხვა სამართლებრივი პრობლემები, „და'ვას“ პრინციპები და ის, თუ როგორაა ისინი გაცნობიერებული და აღქმული საზოგადოებაში. მაგრამ ალ-ღაზალის კრიტიკა ასევე წარმოქმნის პრობლემებს, რომლებსაც ის გადაუჭრელად

ტოვებს; არ აყალიბებს არანაირ სისტემურ მეთოდოლოგიას, რომელიც ერთიანობის, ობიექტურობის ან თანმიმდევრულობის ამსახველი იქნებოდა და გვაჩვენებს თანამედროვე „დავას“ სისტემური და ამასთანავე ამომწურავი გამოსწორების ძალისხმევის საჭიროებას.

ალ-ღაზალის მიერ წარმოსახული მქადაგებლის იდეალური ტიპი მთელ რიგ კრიტიკულ კითხვებს ბადებს. პირველ რიგში, მქადაგებლები, როგორც ჩანს, ტრადიციის თანამედროვეობაში ინტეგრირებას ახდენენ და თავიანთ უნარებს „დავას“ სოციალურ-კულტურული და ეკონომიკური კონტექსტის მათეული გაგების ჭრილში იყენებენ. თუ ეს ასეა, მაშინ ყველა მომდევნო დისკუსია ფოკუსირებული უნდა ყოფილიყო დისციპლინების ინტეგრირების პროცესზე, ასევე იმაზე, თუ რა მეთოდოლოგია უნდა მიესადაგოს ისლამისა და თანამედროვე ცოდნის გაგებას „დავას“ ჭრილში. ალ-ღაზალის ფოკუსირება მქადაგებლის საგანმანათლებლო სტანდარტებზე ბადებს კითხვას, თუ რა ტიპის ისლამური საგანმანათლებლო ინსტიტუციები დაეხმარებოდა მქადაგებელს შეეძინა სხვადასხვა განსაზღვრული უნარები. ამას კვლავ პერსპექტივის, კურიკულუმისა და პერსონალის საკითხთან მივყავართ. ალ-ღაზალის უყურადღებობა იმის მიმართ, თუ როგორ უნდა გადაიჭრას პრობლემები, რომელთაც თავად წამოჭრის, აშკარას ხდის იმ ფაქტს, რომ მას უბრალოდ სურდა ზოგადად წინ წამოენია „დავასა“ და მქადაგებელთა საკითხები „დავას“ განხორციელების დეტალური პროგრამის შემუშავების გარეშე.

მეოთხე თავი
ალ-დაზალის ხედგა „დავას“
მეთოდოლოგიის შესახებ

ალ-ღაზალის „დავას“ მეთოდოლოგია ამ თავის მთავარი თემაა. პირველ რიგში, ის ეხება „დავას“ მიმართ მის მიდგომას და „დავას“ პრიორიტეტების მისეულ გაგებას, ასევე – მქადაგებლების კავშირს მგრძნობიარე ინტელექტთან და რელიგიურ მოძღვრებასთან. შემდეგ განხილულია „დავას“ კავშირი ისლამურ სამართალთან. მესამე საკითხია „დავა“ და ქალები. აქ ალ-ღაზალი ახლებურად იაზრებს მრავალ სამართლებრივ საკითხს ქალებთან დაკავშირებით, რათა განავითაროს მოდელი, რომლითაც დაიშვება ქალთა ჩართულობა საზოგადოებრივ და პოლიტიკურ ცხოვრებაში, რაც ამყარებს მის პოზიციას, რომლის თანახმად ქალებსაც, და არა მხოლოდ კაცებს, შეუძლიათ პოზიტიური წვლილი შეიტანონ „დავასა“ და ისლამურ რეფორმაში.

მიდგომა „დავასადმი“

მიდგომა „დავასადმი“ არის ის, რაც მქადაგებელთა ცოდნასა და გამოცდილებას რელიგიის ტრანსმისიას განხორციელებადად აქცევს აქცევს. ის ასევე გამოხატავს „დავას“ პრიორიტეტებს, მქადაგებელთა ყურადღების არეალებს და „დავას“ მნიშვნელობას საზოგადოებისთვის. ალ-ღაზალის თანახმად, მქადაგებლებმა საკუ-

თარი რწმენა¹²¹ ყურანის მეთოდოლოგიის შესატყვისად უნდა წარმოადგინონ, რომელიც შემოქმედისა და ღვთიური მახასიათებლების წარდგენის სპეციფიკურ სტილს მისდევს. მისი აზრით, „და’ვა“ რელიგიური ჭეშმარიტებების პატიოსანი გადმოცემა და ისლამური რწმენებისა და კანონების ზუსტი ინტერპრეტაცია.¹²² ალ-ლაზალი მიიჩნევს, რომ „და’ვას“ ფუნდამენტური დანიშნულება ღმერთის ერთადერთობის განმარტებაა და არა მეორადი მნიშვნელობის სამართლებრივი მოსაზრებები. ალნიშნულ მიდგომას სიქველემდე მივყავართ და ხალხს სავალდებულო რელიგიური ქმედებების გარშემო აერთიანებს.¹²³

და მაინც, ალ-ლაზალი, ჩანს, რომ აშკარად დიდ ყურადღებას აქცევდა სამართლებრივი განსხვავებების ზეგავლენას „და’ვას“ მიმართ მიდგომაზე. „და’ვას“ სამართლებრივი განსხვავების არტახებიდან გათავისუფლების მიზნით, მან მოახდინა იმის შემოთავაზება, რასაც უწოდებს „ამნისტიას ისლამურ სამართალში“. ასეთი ყურადღება აძლიერებს მის ზრუნვას „და’ვაში“ სამართლის სწორ გაგებასა და გამოყენებაზე. ალ-ლაზალის აზრით, მქადაგებლები ასუსტებდნენ ან გზას უბნევდნენ მუსლიმურ საზოგადოებას მაშინ, როდესაც ისლამს მეორადი მნიშვნელობის სამართლებრივი დადგენილებებისა თუ თეოლოგიური დისკუსიის მიმოხილვის სახით წარმოადგენდნენ.¹²⁴

¹²¹. Al-Ghazali, Humuum Da’iyah, p.129.

¹²². Al-Ghazali, Qadha’if al-Haqq, p.168.

¹²³. Al-Ghazali, Turathuna al-Fikri fi Mizan al-Shar’ wa al-’Aql (Our Intellectual Heritage in the Perspective of Reason and Revelation) (Cairo: Dar al-Shuruq, 2003), p.175.

¹²⁴. Al-Ghazali, Al-Da’wah al-Islamiyyah Tastaqbil, p.147.

რელიგიური „დავას“ ტრადიციული ფორმის, მაგალითად, პარასკევის ქადაგების გარდა, ალ-ღაზალი ქადაგების სხვა ფორმასაც მოიხსენიებს, რომელსაც „ალ-ი'ლაშ ალ-და'ავის“ („დავას“ ინფორმაცია) უწოდებს. ეს არის გზავნილის წრფელი ტრანსმისია, რომელიც ჭეშმარიტების გავრცელებასა და კაცობრიობის კეთილდღეობის მხარდაჭერას ემსახურება. ამასთან, ალ-ღაზალის, ჩანს, რომ კიდევ უფრო ადარდებდა თანამედროვე ქადაგების ფორმის ზეგავლენა „დავასადმი“ მიდგომაზე. მის ნაწერებში განსხვავებებმა „დავას“, ქადაგებას და პროფესიულ კარიერას შორის ზოგ მუსლიმს უბიძგა, რომ „დავა“ ჩაეთვალა რელიგიური ქადაგებით შემოფარგლულად, გარკვეულ სახის ჩაცმულობით მეზობელ სოფელში ყოველდღიურ ვიზიტად. ასეთმა აღქმამ საზოგადოებისგან, განათლებისგან, აკადემიური კვლევა-ძიებისგან დაშორება გამოიწვია.

მაშინაც კი, როდესაც ყურანს „დავას“ საფუძვლად აღიქვამდა და როდესაც „დავასა“ და სამართლებრივ მოთხოვნებს შორის შესატყვისობას ეძებდა, ალ-ღაზალი ცხოველ ინტერესს ამჟღავნებდა ქმედითი ისლამური მიდგომის გაცნობიერებისა და გამოყენებისადმი. მისი მიდგომა „დავას“ მიმართ გამოცხადების მოთხოვნებსა და მნიშვნელობებს გულისხმობს, თუმცა მხოლოდ თეორიული ვარაუდების წყება არაა – მთავარი მიზანი მქადაგებელთა ზნეობრივი ღირებულებების გაძლიერებას. ამ მორალური მზაობის არქონა, უბრალოდ მარცხის მომტანია „დავასთვის“ და უცხო საზოგადოებებში ეჭვს ბადებს. ალ-ღაზალისთვის „დავასადმი“ მიდგომა მქადაგებლის პირად მახასიათებლებთანაა უწყვეტ კავშირში

და აუცილებელი პირობაა სწორი და ეფექტური რელიგიური გააზრების შემუშავებისთვის.

„და’ვას“ სამართლებრივი მეთოდოლოგია (ფიკჲ ალ-და’ვა)

„და’ვასთან“ და სამართალთან მიმართებით, ალ-ლაზალი გამოირჩეოდა დამოუკიდებელი განსჯით. მის-თვის, პირველ რიგში, ეს არის „და’ვას“ პრობლემაში ჩაწვდომა და ის, თუ როგორ უნდა მოხდეს მისი გააზრება; მისადმი მიღვომა და მისი განხორციელება; ხოლო მეორე რიგში, სამართლის საკითხთან დაკავშირებით, როგორ უნდა მოხდეს მისი ინტერპრეტირება და რო-გორც უნდა იქნეს გამოყენებული „და’ვას“ უმნიშვნელო-ვანესი ინტერესებისთვის. ალ-ლაზალი ხაზს უსვამდა, რომ საჭიროა „და’ვას“ მიზნების შენარჩუნება და გან-ხორციელება. ამის გამო, მას უწევდა ერთდროულად იუ-რისტისა და თეორეტიკოსის როლის შესრულება „და’ვასთან“ მიმართებით.

ისლამური იურისპრუდენციის გადახედვისას, ალ-ლაზალი ცდილობდა გადაეჭრა ისეთი მწვავე პრობლემები, რომლებიც, მისი აზრით, აბრკოლებდა „და’ვას“ და უარყოფითად მოქმედებდა მისეულ მოდელზე. ეს აჩვენებს, რომ „და’ვასთან“ მიმართებით სამართლის მისეუ-ლი კვლევა უბრალოდ პრაქტიკული სტრატეგია იყო და „და’ვას“ ნააზრევის სისტემური მეთოდოლოგიის ფორ-მულირებას მცირე ყურადღება ექცევდა. ეს წარმოჩნდება მის მიერ მრავალი იურიდიული საკითხისთვის უპირა-ტებობის მინიჭებაში, რომლებითაც ვერ ხერხდებოდა სა-

მართლისა და სისტემური მეთოდოლოგის მდგრადი გა-
მოყენების წარმატებით გამოყენება „დავასთან“ მათი
ინტეგრაციის საკითხთან დაკავშირებით.

ალ-ლაზალის ზრუნვის საგანი იყო ის, რომ ისლა-
მური იურესპრუდენცია უნდა ჩამდგარიყო „დავას“ სამ-
სახურში და სამართლებრივ ვერდიქტებს არ უნდა დაე-
შორებინა არამუსლიმები ისლამისგან და არც ცოდვილე-
ბი განეზიდა წინამძღოლობისგან. ალ-ლაზალი აყალი-
ბებს ფართო ჩარჩოს სამართლისა და „დავას“ ურთიერ-
თმიმართებისთვის. თუმცა, იმავდროულად ყოველთვის
სერიოზული ყურადღება ეთმობა „დავას“ განსაკუთრე-
ბულ ინტერესებს. მაგალითად, ის განიხილავს სამარ-
თლებრივ წესს მუსიკის აკრძალვაზე და სჯერა, რომ ეს
რწმენას ზიანს არ მიაყენებს. მისი რწმენით, ეს განსა-
კუთრებით სამართლიანი იყო დასავლური საზოგადოე-
ბებისთვის, რომელთა შემთხვევაშიც მუსიკის/სიმღერის
ან ქალების მიერ სახის დაფარვის საკითხები არ უნდა
წამოიჭრას „დავას“ განხორციელებისას. „დავასთვის“
ალ-ლაზალის სამართლებრივი მეთოდოლოგია აჩვენებს,
რომ მას ღრმად ადარდებს დასავლური საზოგადოებების
რეაქცია მუსლიმურ პრაქტიკებზე. „დავას“ ინტერესების
დაცვამ და შორეული ხალხისგან დადებითი შეფასების
სურვილმა გამოიწვია მის მიერ დიდი რაოდენობით შე-
დარებით სუსტი ანგარიშების გაზიარება.

ამის მიუხედავად, ალ-ლაზალის შრომები წარმოად-
გენს იმ თანამედროვე პრობლემების გაბედულ კვლევას,
რომლებიც აზიანებს „დავას“ შიგნიდანაც და გარედა-
ნაც. შეგვიძლია მხოლოდ ვივარაუდოთ, რომ ალ-ლაზა-
ლის მცდელებებმა, თუმცა ჩანასახის დონეზე, მაგრამ

მაინც გაარღვიეს დაძაბული მდუმარება, რომელსაც მო-
ეცვა „და'ვას“ ასოცირება სამართალთან და დასაბამი
დაუდეს თანამედროვე დისკურსს „და'ვას“, სამართლისა
და ისლამური პროგრესის შესახებ.

მან ასევე დასახა ანალიზის ახალ გზები, რომელებ-
მაც უბიძგეს მუსლიმებს, სათანადო ყურადღება მიექცი-
ათ „და'ვას“ ფენომენთან დაკავშირებულ კულტურულ
და რელიგიურ გამოხატულებებისთვის, განსაკუთრებით
კი დასავლურ საზოგადოებებში, აგრეთვე – მუსლიმური
საზოგადოებების ზოგადად კაცობრიობასთან კავშირის
რეალობასთან მიმართებით.

ქალები და „და'ვა“

ალ-ღაზალიმ ხელახლა გაიაზრა ქალებთან დაკავ-
შირებული ზოგიერთი თეორიული მოსაზრება, რადგან
ქალებთან მიმართებით მავნე კულტურულ აღქმებსა და
ჩვეულებებს უარყოფითი ზემოქმედება ჰქონდა მათ
მდგომარეობასა და ჩართულობაზე, ყოველივე ეს კი ის-
ლამის სახელით ხდებოდა. ალ-ღაზალი განუწყვეტლივ
უბრუნდებოდა რელიგიურ ინტერეტაციაში არსებულ
კულტურული ინფილტრაციის საკითხს, მქადაგებელთა
წარუმატებლობას ქალთა თემატიკასთან მიმართებით და
ქალებთან დაკავშირებული სხვადასხვა საკითხის სამარ-
თლებრივი პერსპექტივების გადახედვის საჭიროებას.
ალ-ღაზალის აზრით, ქალთა საკითხის სწორი გაგება აშ-
კარას ხდის მათ როლსა და წვლილს თანამედროვე სა-
ზოგადოებებში.

აღ-ღაბალი ამტკიცებდა, რომ ყურანის მიწერილობები ქალების შესახებ სრულებით იყო უგულებელყოფილი. ისინი იშვიათად იღებდნენ თავიანთ წილ მემკვიდრეობას, ნაკლებად ეძლეოდათ არჩევანის უფლება თავიანთი ქორნინებისას, ვერ იღებდნენ განათლებას და დამცირებას განიცდიდნენ უმეცარი მორწმუნე ხალხის-გან.¹²⁵ ამის შედეგად, მათ დაივინყეს თავიანთი რელიგიური მოვალეობები და პასუხისმგებლობები.¹²⁶ აღ-ღაბალის თანახმად, ამგვარი სოციალური და კულტურული წეს-ჩვეულებები მნიშვნელოვანნილად განაპირობებდნენ ქალთა დაკნინებულ სტატუსს, მაგალითად, ქალების-თვის მათ ეკონომიკური უფლებებზე უარის თქმას. ამას-თანავე, კაცების მიერ შექმნილმა წეს-ჩვეულებებმა და შეხედულებებმა შეაფერხა ქალთა ჩართულობა საზოგადოებრივი საქმიანობაში, უმნიშვნელოდ აქცია ისინი ცხოვრებისა და რელიგიის თვალსაზრისით და ასე შეინარჩუნა უმეცრების წყვდიადი, შელახა ისლამის მოძღვრება, დაკანინა ქალთა – და, შედეგად, მთელი ერის – განათლება.¹²⁷ აღ-ღაბალისთვის, ამ წეს-ჩვეულებებმა, ქალის სტატუსის დაკნინებით, წინ წამოსწიეს კაცის სტატუსი და ქალების ფუნქცია ფიზიკური სიამოვნების მიღებამდე დაიყვანეს. ქალთა მორალური პოზიცია ღირსების ჭრილშია გაგებული, მაგალითად, ვაჟის არასწორი საქციელი ახალგაზრდულ გართობად მოიაზრება, ხოლო ქალის არასწორი ქცევა ითვლება სირცხვილად, რომელ-საც სერიოზული შედეგები მოჰყვება.

¹²⁵. Al-Ghazali, Al-Sunnah al-Nabawiyyah, p.54.

¹²⁶. Al-Ghazali, Al-Islam wa al-Zaqat al-Mu'atallah, p.96.

¹²⁷. Al-Ghazali, Dustur al-Wihdah al-Thaqafiyah, p.169.

ალ-ღაზალის მნიშვნელოვან სამოქმედო სტრატეგიას წარმოადგენდა ახალი სამართლებრივი ინტერპრეტაციების შემუშავება ქალთა მდგომარეობასთან მიმართებით. მაგალითად, იგი ამტკიცებდა, რომ არ არსებობს სანდო და ავტორიტეტული ისლამური ტექსტი, რომლითაც ქალებს სახის დაფარვას მოეთხოვებათ. ქალების პოზიციის აღდგენის მიზნით, ალ-ღაზალი სხვადასხვა ინტერპრეტაციას განიხილავდა და სწამდა, რომ ისინი წარმოქმნიდნენ ახლებურ გაგებას, რაც ქალებს საკუთარი პოტენციალსა და შესაძლებლობების გამომჟღავნების უნარს შესძენდა.

დასკვნა

ალ-ღაზალის სურდა თანამედროვე „დავას“ მოდელის ისლამური ცვლილების ფართო სპექტრში ჩამოყალიბება. მისი მოდელის თანახმად, მქადაგებლები მხოლოდ აბსტრაქტული რელიგიური მოძღვრებებისა თუ მორალის გადმომცემი კი არ არიან, არამედ ასევე პოზიტიური ცვლილების წარმმართველებიც. მეტიც, „დავა“ აღარაა აღქმული როგორც კონკრეტულ მქადაგებელთა ჯგუფის მოვალეობა, არამედ როგორც სოციალური და კოლექტიური პასუხისმგებლობა, რომელიც, რელიგიური ცხოვრების გაძლიერებასთან ერთად, მუსლიმური საზოგადოების ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებას ესწრაფვის. გარდა ამისა, „დავას“ სამსახურში უნდა იდგნენ არა მხოლოდ მქადაგებლები, მუფთიები და რელიგიის სწავლულები, არამედ დამატებით ყველა ის, ვინც

სოციალურ და გლობალურ ცვლილებას უწყობს ხელს და გადის ისეთი ჯგუფების, როგორებიცაა „თაბლილი ჯამაათი“, სუფიები ან სალაფიტები, ტრადიციული მოღვაწეობის სფეროს ფარგლებს გარეთ.

მისთვის „და’ვა“ მხოლოდ რელიგიურ ქადაგებაზე პასუხისმგებლობას არ გულისხმობს. ის ასევე ინტელექტუალური ცვლილებისა და მორალური ტრანსფორმაციის პროცესს ასახავს. ეს პროცესი ღია და ჰოლისტურია, გულისხმობს მრავალფეროვნებასა და გადაკვეთის წერტილების არსებობას საზოგადოებასა და რელიგიას შორის. „და’ვას“ ამ მრავალწახნაგოვანი ბუნების გათვალისწინებით, ალ-ღაზალი ექებს ახალი ოპერირების კონტექსტს, რომელიც გასცდება კულტურულ და გეოგრაფიულ საზღვრებს, მოითხოვს რელიგიური ტრადიციების ახლებურ, რაციონალურ გააზრებასა და რომელიც გაემიჯნება თანამედროვე მუსლიმური „და’ვას“ ჯგუფებისა და მოძრაობების თანამედროვე წამოღვანარს. „და’ვას“ მისეული მოდელი მუდმივად მოიცავს ისლამური ცვლილების საკითხებს „და’ვასთვის“ ხელსაყრელი გარემოს შექმნის მიზნით. რადგან „და’ვას“ ესაჭიროება სხვადასხვა ინდივიდუებისა და ერებისთვის ისლამის წარდგენა, ალ-ღაზალის მოდელი ცდილობს კომუნიკაციის, ურთიერთგაგებისა და ინტერაქციის ხიდების გადებას, განსაკუთრებით დასავლეთში, ისე როგორც კომუნიკაციის უნივერსალური არხების გაძლიერებას თავად მუსლიმური საზოგადოებებში.

ალ-ღაზალის მოდელი შუალედურ პოზიციას ემსრობა. მართლაც, რთული წარმოსადგენია, სად იქნებოდა დისკურსის მდგომარეობა „და’ვასა“ და ისლამური

რეფორმის შესახებ ალ-ლაზალის გამორჩეული, კონსტრუქციული და ყოვლისმომცველი წვლილის გარეშე. მძლავრი პოზიცია, რომელიც მან დაიკავა განათლების მნიშვნელობასთან მიმართებით; მნიშვნელობა, რომელიც მან თავისუფალ საზოგადოებას მიანიჭა; მისი მოთხოვნები ლარიბი ფენის ცხოვრების დაბალ სტანდარტებთან დაკავშირებით, პირადი გამორჩეულობის ხარისხი, რომლისკენაც ის მოუწოდებდა და მისი მგრძნობიარე ალ-მზრდელობითი და საჯარო ინტელექტუალური როლი – ყოველივე ეს ხელს უწყობდა და უწყობს ალ-ლაზალის მაღალი რეპუტაციის შენარჩუნებას, როგორც საუკუნის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მუსლიმი ინტელექტუალისა და რეფორმატორისა, მისი ცხოვრების მანძილზეც და მრავალი მომდევნო თაობისთვისაც.

ავტორის შესახებ

ბენაუდა ბენსაიდს მიღებული აქვს ბაკალავრის ხა-
რისხი ისლამურ კვლევებში ალ-ემირ აბდელკადერის
უნივერსიტეტში (კონსტანტინა, ალჟირი), მაგისტრის ხა-
რისხი ისლამურ ზეგარდმოვლენილ ცოდნაში საერთაშო-
რისო ისლამურ უნივერსიტეტში (მალაიზია) და დოქტო-
რის ხარისხი ისლამურ კვლევებში მაკგილის უნივერსი-
ტეტში (კანადა). ამჟამად ის თანამშრომლობს ეფუატის
უნივერსიტეტის (ჯიდა, საუდის არაბეთი) ხელოვნებისა
და მეცნიერების კოლეჯთან.



გამომცემლობა „უნივერსალი“

თბილისი, 0186, ა. პოლიტიკოს საავანესის №4, ტელ: 5(99) 17 22 30, 5(99) 33 52 02
E-mail: universal505@ymail.com; gamomcemlobauniversali@gmail.com

**იასი-ს წიგნების ადაპტირებული სერია წარმოადგენს
ინსტიტუტის ძირითადი პუბლიკაციების ღირებულ
კოლექციას, რომელიც შემოკლებული ფორმით არის
დაწერილი რათა მკითხველს სრული ვერსიის შესახებ
ძირითადი წარმოდგენა შეუქმნას.**

შეიხ მუჰამად ალ-დაზალი თავის მნიშვნელოვან
ვალდებულებაში, რომელიც უკავშირდება სხვების
მოპატიუებას ისლამში, წარმოაჩენს არამარტო მუსლიმების
თვითკრიტიკას ისლამის დაცვის საუკეთესო ხერხთან
მიმართებაში, არამედ იგი ხაზს უსვამს და აკრიტიკებს ყურანის
პრინციპების და შუამავლის მაღალი სტანდარტების მიმართ
დალატსაც.

ეს პატარა ნაშრომი წარმოადგენს მქადაგებლიისა და „და'ვას“
მიმართ არსებული პრაქტიკის ალ-დაზალისეული კრიტიკის
ანალიზს. ნაშრომში ასევე განხილულია ალ-დაზალის
მეთოდოლოგია, საკითხის გაანალიზების სხვადასხვა გზები
და მისი შეხედულებების სამართლებრივი საფუძვლები. ალ-
დაზალის მოსაზრების ევოლუცია და ადამიანებისა და
ფაქტების მასზე გავლენა არის ნაშრომის მთავარი განხილვის
საკითხი. რთულია იმის თქმა თუ რა ეტაპზე იქნებოდა
„და'ვასთან“ დაკავშირებული დისკურსი და ისლამური
რეფორმა, რომარ ყოფილიყო ამსაკითხთან მიმართებაში ალ-
დაზალის უდიდესი წვლილი. ის მთავარ აქცენტს აკეთებდა
განათლების მნიშვნელობაზე და თავის უფალი
საზოგადოების ჩამოყალიბებაზე. მისი მოწოდება და სწრაფვა
დარიბებისთვის სამართლიანი ცხოვრების სტანდარტების
ჩამოყალიბებისაკენ, არის ერთგვარი მორალური და
პიროვნული სრულყოფილების დონის ამაღლებაც. ალ-
დაზალის შემწყნარებელი და ამავე დროს პრინციპული
როლი როგორც განმანათლებლის, იცავს მის რეპუტაციას,
როგორც მისი სიცოცხლის პერიოდში, ასევე მრავალი თაობის
მოსვლის შემდეგაც. ის ითვლება მეოცე საუკუნის ერთ-ერთ
მნიშვნელოვან ინტელექტუალ მოაზროვნედ და
რეფორმატორად. მისი მემკვიდრეობა იარსებებს მუდამ.

ISBN 978-9941-33-280-7



International Institute
of Islamic Thought